საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 15 სექტემბერი. 2017 წ. №188 (8325), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვილი ალავიძე:

5 მოუნანიებლად შენდობა არ არსებობს!

ასე იცის ჩირგვებში შეძრომამ...

ომარ მარგველაშვილი:

4

უნდა გვქონდეს თუ არა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან და ყოფილ ავტონომიებთან?



მერაბ ბერძენიშვილი

ქართველი მიქელანჯელოა!

3

ვახტანგ დავითაია

დედაქალაქი კვნესის...

რა დააშავა თბილისმა?

6–7

გიგა ბათიაშვილი:



„...ოქროყანიდან დავყურებ
შენს ბჭეს,
და სიხარული ძვალრბილში
მივლის,
ასეთი ბედი რომ მომანიჭეს
— პატარა ძაღლი გიცავდე
თბილისს!“

ტიციან ტაბიძე, „ოქროყანა“

ნასვამი მძღოლი პოტენციური მკვლელია!

არასამთავრობო ორგანიზაციები ნასვამი მძღოლისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევიდან სამ თვეში, მართვის უფლების დაბრუნების შესაძლებლობას აპროტესტებენ.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ წარმომადგენლის ეკა ლალიაშვილის განცხადებით, ნასვამი მძღოლი პოტენციური მკვლელია და კანონი ბევრად მკაცრი უნდა იყოს.

მისივე თქმით, ასეთ შემთხვევებში ევროპულ ქვეყნებში ადმინისტრაციული პატიმრობაც გამოიყენება.

„კანონის მიღებამდე ჩვენი ორგანიზაციის რეკომენდაცია შსს-მ არ გაითვალისწინა, რომლის მიხედვითაც, მართვის უფლების შეჩერების ვადა მინიმუმ 1 წლით უნდა განესაზღვრათ“, — ამბობს ლალიაშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „HUB Georgia“-ს წარმომადგენლის ვასო ურუშაძის განცხადებით კი, კანონი იმდენად მკაცრი უნდა იყოს, რომ მძღოლს საჭესთან ნასვამი დაჯდომა არ უღირდეს.

ცნობისთვის, ახალი კანონი, რომელიც პირველ ივლისს შევიდა ძალაში, გულისხმობს, რომ ნასვამ მძღოლებს ავტომობილის მართვის უფლება ექვსი თვით ეკრძალებათ. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირველი შემთხვევაა, მოქალაქეს საშუალება ეძლევა სამი თვის შემდეგ 1000 ლარის გადახდის ან გამოცდის ხელახალი ჩაბარებით, მართვის მოწმობა დაიბრუნოს.

ირაკლი პეტრიაშვილი ისევ თავმჯდომარეა!

გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარედ ირაკლი პეტრიაშვილი აირჩიეს. მან 139, ხოლო ზენაიშვილმა 62 ხმა მიიღო, ორი ბიულეტენი კი გაბათილდა.

არჩევნებში კენჭს იყრიდა **დავით ოძიტაშვილიც,** თუმცა მან კანდიდატურა კენჭისყრამდე მოხსნა.

რატომ არ ერგებათ კომპენსაცია გურულებს და მეგრელებს?

2

„საუკუნის კონტრაქტს“ ხელი მოეწერა

დიალოგის ჩაშლის მიზეზი არის „ქართული ოცნება“

პრეზიდენტის სასახლეში გუშინ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები საკონსტიტუციო რეფორმაზე გიორგი მარგველაშვილთან ერთად მსჯელობდნენ. მმართველი გუნდი მოლაპარაკებებს არ დასწრებია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ოპოზიციასთან დიალოგზე უარი თქვეს და საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენით დამტკიცებას, საშემოდგომო სესიაზე, რამდენიმე დღეში გეგმავენ.

საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის ჩაშლის მიზეზებზე ამახვილებენ ყურადღებას „ევროპული საქართველოს“ წევრები.

„კიდევ ერთხელ დამტკიცდება ის, რომ რეალურად დიალოგის ჩაშლისა და დღევანდელი პოლიტიკური ჩიხის მიზეზი არის „ქართული ოცნება“ და დღევანდელი ხელისუფლება,“ — აცხადებს ლევან თარხნიშვილი.

ოპოზიციური პარტიების შემოწირულობებით შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ

მმართველი გუნდის თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე სამართალდამცავ ორგანოებს ოპოზიციური პარტიების შემოწირულობებით დაინტერესებას ურჩევს. **„ის, რასაც ჩვენ ვხედავთ დეკლარაციაში მითითებულ თანხებს, შეუძლებელია იმ თანხებით საარჩევნო კამპანიის წარმოება. თქვენ თუ შეხედავთ, შემოწირულობები რომელიც „ქართულ ოცნებას“ გააჩნია და რომელიც აბსოლუტურად გამჭვირვალეა ყველასთვის, თუმცა თუ შევხედავთ ოპოზიციური პარტიების შემოწირულობებს და მათ საარჩევნო კამპანიას, აშკარად ჩნდება კითხვები და ამაზე ალბათ შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ,“** — განაცხადა კახა კალაძემ.

აუდიტის სამსახურის მონაცემებით, „ქართული ოცნების“ მიერ შემოწირულობით მიღებულმა თანხამ 7 მილიონს გადააჭარბა, რაც ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებულ თანხებს ათეულობით ათასი ლარით აღემატება.

„საუკუნის კონტრაქტს“ ხელი მოეწერა

ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი „აზერბაიჯანის კასპიის სექტორში არსებული „აზერის“, „ჩირაგის“, „გიუნეშლის“ ღრმაწყლიანი საბადოების დამუშავების თაობაზე პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ“ შეთანხმების გაგრძელების ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრო. **ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გახსნა და სტუმრებს სიტყვით მიმართა.** ილია ელოშვილმა ილჰამ ალიევს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის სპეციალური მისალოცი მიმართვა გადასცა.

„პირველ რიგში, აზერბაიჯანთან, როგორც ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიულ პარტნიორთან მიმართებაში, მე ხაზს გავუსვამდი განხორციელებულ წარმატებულ სატრანზიტო პროექტებს — „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“, „სამხრეთ კავკასიური მილსადენი“ და „ბაქო-თბილისი სუფსის“ მილსადენები, რომლებიც ემსახურებიან კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადი რესურსების დასავლეთით ტრანსპორტირებას. აღნიშნული პროექტები ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის, ნდობისა და პარტნიორობის შედეგია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება „აზერის“, „ჩირაგისა“ და „გიუნეშლის“ საბადოებიდან „ხმელთაშუა ზღვისკენ“ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და საქართველოში სუფსამდე „ბაქო-სუფსის“ ნავთობსადენებით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ამ საბადოებთან დაკავშირებული ნებისმიერი პროგრესი პირდაპირ აისახება ჩვენს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე“ — განაცხადა ღონისძიებაზე ილია ელოშვილმა. შეთანხმება აზერბაიჯანში 1994 წლის 20 სექტემბერს, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და მსოფლიოს 9 ქვეყნის წარმომადგენელ 11 მსხვილ ნავთობკომპანიას შორის გაფორმდა და „საუკუნის კონტრაქტის“ სახელი ეწოდა. ის წარმოადგენს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნავთობის ახალი სტრატეგიისა და დოქტრინის დასაწყისს.

ბაქო-სუფსას დერეფნის მშენებლობის შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წელს და იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ქვეყნების მეტად ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობის საფუძვლის შესაქმნელად. შეთანხმება დაეხმარა საქართველოს, დაბრუნებულიყო მსოფლიო რუკაზე, როგორც ისტორიულად სატრანზიტო როლის მქონე ქვეყანა, რამაც გზა გაუხსნა აღმოსავლეთ-დასავლეთის სტრატეგიულ ენერგოდერეფანს და ხელი შეუწყო აზერბაიჯანისა და საქართველოს სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას.

რაც შეეხება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს, ის ნავთობის კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. საქართველოში მილსადენის მშენებლობა 2005 წელს დასრულდა და დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდა. მილსადენი „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირებას ახდენს.

ზურაბ პოლოლიკაშვილი ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანია!..

გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის(UNWTO) გენერალური მდივნის თანამდებობაზე საქართველოს კანდიდატი ზურაბ პოლოლიკაშვილი დაამტკიცეს. UNWTO-ს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებას და ზურაბ პოლოლიკაშვილი აირჩია UNWTO-ს გენერალური მდივნის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს კანდიდატი საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი ხელმძღვანელის პოზიციას დაიკავებს.ახალი გენერალური მდივნის დამტკიცება UNWTO-ს გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის ფარგლებში მოხდა, რომელიც ჩინეთში ქ. ჩენგდუში იმართება. გენერალური მდივნის პოსტზე დამტკიცების შემდგომ ზურაბ პოლოლიკაშვილმა ასამბლეის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

აშშ 20 მლნ დოლარით დაგვეხმარება

აშშ საქართველოს დამატებით დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარით დაეხმარება. არსებულ საგრანტო შეთანხმებებში შესული შესაბამისი ცვლილებები განიხილეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა დუგლას ბოლმა შეხვედრაზე, რომელიც ფინანსთა სამინისტროში გუშინ გაიმართა.

შეხვედრაზე პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა აშშ-ს მთავრობასა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებისთვის. მისი თქმით, ის დახმარება, რომელიც საქართველომ 1992 წლიდან მიიღო უშუალოდ USAID-ის გავლით, 1,5 მლრდ აშშ დოლარზე მეტია, ხოლო აშშ-დან — 4 მლრდ აშშ დოლარზე მეტი. განახლებული შეთანხმებები მოიცავს საქართველოსთვის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა „ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა“, „დემოკრატიული კონტროლი და ბალანსი და ანგარიშვალდებული მმართველობა“ და მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება“.

მმართველი გუნდი ვეტოს დასაძლევად მზად არის

მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ **პრეზიდენტი კონსტიტუციის პროექტისთვის ვეტოს დადებას გეგმავს.** საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის თქმით, ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს მათ პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრები აძლევს. მისივე თქმით, მმართველი გუნდი ვეტოს დასაძლევად მზად არის.

„თუ ის გამოიყენებს ვეტოს, ჩვენ მზად ვართ ამისთვის, თუ არ გამოიყენებს ვეტოს, მესამე მოსმენით მოხდება კონსტიტუციის მიღება. წინასწარი დასკვნა გვექნება უახლოეს პერიოდში, სადაც, მე ვფიქრობ, ჩვენ დავინახავთ, რომ ერთადერთი საკითხი, რასთან დაკავშირებითაც დისკუსია შეიძლება პოლიტიკურ პარტიებს შორის გაგრძელდეს, არის ვადები. ჩვენ მესამე სესიაზე გავდივართ იმ რწმენით, რომ ჩვენ მივიღებთ კონსტიტუციას, რომელიც ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების გარანტი იქნება“, — თქვა არჩილ თალაკვაძემ.

რატომ არ ეძგებათ კომპენსაცია გურულებს და მეგრელებს?

დასავლეთ საქართველოში მოსავალი თითქმის მთლიანად განადგურდა. **რაც დარჩა, ის მოსახლეობას ზამთრამდეც არ ეყოფა. ხალხი დიდ გაჭირვებაშია, მაგრამ მთავრობა ზარალის კომპენსაციას არ აპირებს. კახელებისგან განსხვავებით, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სამეგრელო-გურიაში აქციები არასდროს გამართულა, მაგრამ წელს იმდენად გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა, რომ მოსახლეობამ პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართა.**

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს. სხდომას სამეგრელოდან ჩამოსული ფერმერებიც ესწრებოდნენ, რომლებიც მთავრობისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ედიშერ თოლორაიამ კომიტეტის სხდომაზე დაზარალებული მეთხილე ფერმერებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირების საკითხი დააყენა.

„ფაქტი სახეზეა — თხილის კულტურის მოსპობაზეა საუბარი. შემდეგ გადავიდა სიმინდზე და სხვა კულტურებზე და თქვენ მოსახლეობას აბრალებთ. მე მაინტერესებს და ამას არ ვამბობ შურით ან ეგოზიმით, თუ შეიძლებოდა კახეთში პატარა სტიქიაზეც განგაშის ატეხა და სუბსიდირება, რატომ არ შეიძლება სამეგრელოში ან გურიაში? ბროშურების დარიგება და სემინარები არაფერს ცვლის“, — განაცხადა თოლორაიამ.

„ევროპული საქართველოს“ განცხადებით, ხელისუფლებას ზარალიც კი არა აქვს დათვლილი. პარტიის წევრთა მონაცემებით, სამეგრელოში თხილის მოსავლის შემთხვევაში ზარალმა, სავარაუდოდ, 45 მილიონი ლარი შეადგინა. საპარლამენტო დებატების პარალელურად სენაკში გამგეობის შენობის წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები ადგილობრივი ხელისუფლებისგან აზიური ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალის დათვლასა და ანაზღაურებას ითხოვდნენ.

აქციის მონაწილეების თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეაგირება დაგვიანებულია. **„ფაროსანამ მთელი სამეგრელო გადაჭამა. არ გვაქვს არც თხილი, არც სიმინდი“,** — ამბობენ ისინი.

მავნებლისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ზუგდიდში გამართულ აქციაზეც მოითხოვეს. ქალაქის ვიცე-მერის ზაზა გულორდავას თქმით, დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდა სამართლიანი იქნება.

ასეთ მოსაზრებას სულაც არ ეთანხმება სოფლის მეურნეობის მინისტრი. ლევან დავითაშვილის თქმით, ბიუჯეტი უკვე შედგენილია,არის გამჭვირვალე და ყველამ ვიცით, რა რესურსი აქვს ქვეყანას.

„მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული სურსათის ეროვნული სააგენტო, ფიტოსანიტარული სამსახურები, და ასეც ხდება. ჩვენ ასევე ვითვალისწინებთ მატერიალურ დახმარებას — ერთი მხრივ, ტექნიკური საშუალებები შევიძინეთ მავნებელთან ბრძოლისთვის და ქიმიური პრეპარატებით მოსახლეობის დახმარებაც გათვალისწინებულია მთავრობის განკარგულებით“, — განაცხადა დავითაშვილმა და დასძინა, რომ ზარალის ანაზღაურება პოლიტიკური სპეკულაციის თემაა.

გეძა დანელია

მერაბ ბერძენიშვილი ქართველი მიქელანჯელოა!





ერთი წელი გავიდა მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებიდან.

არ ვარ ურა პატრიოტი. საქართველოს ისტორიას, ხელოვნებას, მოვლენებს, ფაქტებს, არქიტექტურას, ტრადიციებს ვაფასებ მსოფლიო კულტურის კონტექსტში. XXI საუკუნეში, ინფორმაციული სასწაულების დროში, მხოლოდ ერთი კრიტერიუმი არსებობს — საერთაშორისო. სასაცილოა ილაპარაკო ან იამაყო რეგიონალური წარმატებებით.

საერთო საკაცობრიოზე გზა ეროვნულზე გადის. ფიროსმანი, გუდიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერები, ხუროთმოძღვრება, შატილი, სვანეთის მთელი კოშკურა მეგაპოლისი, პოეზია, ცეკვა, უბრწყინვალესი ქართული ფილმები, ეროვნულიდან და ეროვნულობით იქცნენ საერთო, საკაცობრიოდ.

მერაბ ბერძენიშვილი შუბლიდან ტერფამდე ქართველი მხატვარია. მისთვის მსოფლიო გამოცდილება მხოლოდ ინფორმაციაა. მისი მკვებავია ქართული ცეკვა, მისი პლასტიკა, ქართული ფრესკა და პოლიფონიურობა. ქართველი კაცის თეატრალობა, ხასიათი და მენტალობა, ხალხური პოეზია. არ არის გადამეტებული ფილოსოფოსის, კულტუროლოგის, აკადემიკოსის მოისეი კაგანის შეფასება — **„მერაბ ბერძენიშვილი ქართველი მიქელანჯელოა!“**

„მიქელანჯელომ“ გამახსენა და წარმოდგენით გადავდივარ რენესანსის ეპოქაში, ეპოქაში, რომელმაც გენიალურ არქიტექტურასთან, ფრესკებთან, ქანდაკებებთან ერთად დაგვიტოვა, ისტორიული პიროვნებების მრავალი ცხენიანი მონუმენტი. ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ბრამენტეს, რაფაელს, საერთოდ „რენესანსს“ — ტაბუ აქვს დადებული. მათდამი არა თუ კრიტიკული დამოკიდებულება, არამედ შედარებასაც კი ვერიდებით. მე დავარღვევ ამ ტრადიციას. გავიხსენოთ ჯიოვანი პაოლოს კოლეონი ვენეციაში, მარკუს ავრელიუსი რომში, კაპიტოლიუმის წინ, ვიქტორ ემანუელი II-ის ძეგლი რომში, მოქანდაკე ჯიამბოლოჯნოს კაზიმო I მედიჩის ტოსკანოს დიდი ჰერცოგის მონუმენტი სინიორიის მოედანზე ფლორენციაში და სხვა. ყველა მათგანს აქვს რაღაც კანონიკური მთლიანობა, უმაღლესი პორტრეტული მსგავსება, სტატიურობა, სკრუპულოზურად შესრულებული, იმ პერიოდის ატრიბუტიკა, აქსესუარები და სამკაულები, ყველანი თვინიერ, დამჯერ ცხენებზე სხედან.

გიორგი სააკაძე და მისი ცხენი, ორივე გააფთრებული, დინამიკური, ჟინიანი მებრძოლია, დავით აღმაშენებელს და მის ცხენს ახასიათებთ კოლოსალური შინაგანი ენერგია, თვითრწმენა.

ხანდახან უცნაური აზრი მომდის თავში, მინდა, ერთმანეთის გვერდით ჩავამწკრივო აღიარებული ცხენოსანი ქანდაკებები მედიჩების, კოლეონის, მარკუს ავრელიუსის, ემანუილ II, კაზიმო I მედიჩის, მერაბის გიორგი სააკაძე და დავით აღმაშენებელი, ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი, ცოტნე, და ასე შევხედოთ „ცხენოსანთა“ ისტორიულ პანორამას. არა მგონია, ამ პანორამაში მერაბ ბერძენიშვილი და ელგუჯა ამაშუკელი დაიჩრდილონ, ამას არ მალაპარაკებს „ურა ქართველობა“ და მეგობრობა.

მინდა, შევეხო ერთ საკითხს — ქანდაკება და გარემო, ქანდაკება და ადგილი. ჩემდა გასაკვირად, არიან ადამიანები, არც თუ უწიგნურები და არც თუ უთანამდებონი, რომლებისთვისაც მონუმენტი ამა თუ იმ პიროვნებისადმი ვალის მოხდაა. შეიქმნა მონუმენტი, დაიდგა, „ხომ დაეტია“, ვალი მოხდილია, მორჩა. მონუმენტი, ძეგლი შეიძლება „ჩაეტიოს“ ისეთ ადგილას, ის არა თუ პატივის მიგების, არამედ პატივის შემლახავი შეიძლება გახდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია დავით აღმაშენებლის ძეგლი დიღმის ტრასაზე. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ვახტანგ გორგასალი იდგეს არა მეტეხის პლატოს ქიმზე, არამედ ქვემოთ, ტრანსპორტის რეგულირების წრეში, ან მედეა არა ზღვასთან, არამედ დიღმის ტრასაზე, წარმოვიდგინოთ, მცხეთის ჯვარი მთის წვერზე კი არა, მის ძირას, ეს ხომ გარემოს და ძეგლის სიკვდილია. მხოლოდ გარემოს და ძეგლის სწორ სიმბიოზს შეუძლია შექმნას გენიალობა. ამ ანბანურ მაგალითებს მოვუხმობ იმათ გასაგონად, ვისაც მონუმენტი ყოფითი საგანი ჰგონია, ნივთი, რომელსაც სადაც გინდა, იქ დაიდგამ ან ჩამოდგამ.

მერაბი გულნატკენი წავიდა ამქვეყნიდან. მახსენდება მისი ბოლო სატელეფონო ზარი: ვახტანგ, გადაწყდა, ხვალ საავადმყოფოში ვწვები, ოპერაცია გარდაუვალია, რა ვიცი, რა მოხდება, შენ და თამაზი მიდით ნარმანიასთან, სთხოვეთ, განცხადება მაინც გააკეთოს საჯაროდ, რომ მერია დავით აღმაშენებელს დააბრუნებს ძველ საუფლოში. მინდა, დამშვიდებული წავიდე ამქვეყნიდან.

დიდად სამწუხაროდ, ადამიანთა გულგრილობის გამო, მერაბმა ეს დიდი ტკივილი საფლავში ჩაიტანა.

დავით აღმაშენებელი უსათუოდ დაიდგმება დედაქალაქის ღირსეულ ადგილას, იქ, სადაც „ქართველ მიქელანჯელოს“ — მერაბ ბერძენიშვილს სურდა

ვიმედოვნებ, დედაქალაქის ახალი ხელმძღვანელობა ამ საკითხს ოპერატიულად მოაგვარებს.

ვახტანგ დავითაია

შეფერხებები „სარფის“ საბაჟოზე და თურქეთის ელჩის განმარტება

მოქალაქეები, რომლებიც თურქეთში გადასვლას ცდილობენ, ამბობენ, რომ ბოლო 10 დღეა, ნეიტრალური ზონიდან განმარტებების გარეშე უკან აბრუნებენ და თურქი მებაჟეები რამდენიმედღიან შეზღუდვებს უწესებენ.

საბაჟო გამშვებ პუნქტზე არსებულ შეფერხებაზე ფინანსთა სამინისტროში შეხვედრაზე იმყოფებოდა თურქეთის ელჩი საქართველოში, რომელიც აცხადებს, რომ შეფერხება აქტიურ სეზონს და მოქალაქეების რაოდენობის ზრდას უკავშირდება: **„ახლა აქტიური სეზონია და დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც საზღვარს კვეთენ. 30 ათასამდე ადამიანი გადადის საზღვარზე ყოველდღიურად, ამიტომ, სამწუხაროდ, გამტარუნარიანობა ყოველთვის შესაბამისი არ არის. გარდა ამისა, ახლა თურქეთის მხარეს სარემონტო სამუშაოები გვაქვს, რომელთა დასრულებასაც წლის ბოლომდე ვგეგმავთ. ამ კონკრეტულ მომენტში თურქულ მხარეს გამტარუნარიანობის პრობლემა აქვს. ახლა ორივე მხარე ვთანამშრომლობთ, რომ დავძლიოთ პრობლემები“,** — აცხადებს ზექი ლევენთ გუმრუქჩუ.

დევიდ პრაისი: საქართველოს კონგრესში ბევრი მეგობარი ჰყავს

„საქართველოს კონგრესში ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩვენ გვაქვს საერთო ღირებულებების სისტემა“, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატასთან არსებული „დემოკრატიის პარტნიორობის პალატის“ თავმჯდომარის მოადგილემ დევიდ პრაისმა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, კონგრესის წევრები ყოველთვის მოხარულები არიან ქართველებთან შეხვედრით. კონგრესმენმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

დევიდ პრაისმა ყურადღება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობაზეც გაამახვილა. დევიდ პრაისმა აღნიშნა ისიც, რომ კონგრესის წევრებთან შესახვედრად მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთად გამართეს, რაც მისი შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით მმართველი გუნდის ხელმძღვანელობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი კამათის ნაცვლად, ერთად ამყარებენ კომუნიკაციას კონგრესის წევრებთან“, — განაცხადა კონგრესმენმა.

ჩინელი ინვესტორების სწრაფვა საქართველოსკენ იზრდება

ძიანგსის პროვინციის ქალაქ გუანჭოუში „საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი წარმომადგენლობა გაიხსნა, საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა საქართველოს დელეგაციის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ღონისძიებას ჩინეთის მმართველი პარტიისა და საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

„საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი წარმომადგენლობა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ჩინეთ- საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას შეუწყობს ხელს. ასევე, პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობებს.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩვენი ერთობლივი წარმომადგენლობის გახსნის საჭიროება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა დიდი ინტერესი გააჩნიათ ჩინელ ინვესტორებს საქართველოს მიმართ. ერთობლივი ცენტრი გაორმაგებული ენერგიით იმუშავებს საქართველოში ინვესტიციებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტების მოსაზიდად“, — განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ.

„საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი წარმომადგენლობის გახსნის ცერემონიალზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დოკუმენტი გაფორმდა, რომელსაც ხელი „საპარტნიორო ფონდის“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და „ევრაზიის სავაჭრო კომერციული თანამშრომლობის ცენტრის“ ხელმძღვანელებმა მოაწერეს. სამმხრივი შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობის სამოქმედო გეგმას მოიცავს.

„საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი წარმომადგენლობა „ევრაზიის სავაჭრო-კომერციული თანამშრომლობის ცენტრის“ შენობაში განთავსდა.

ოფიციალური დელეგაციის წევრები ჩინეთის ბიზნეს-წრეებისა და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან შეხვედრებს განაგრძობენ. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტისა და საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლები, ასევე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე შედიან.

ასე იცის ჩირგვებში შეძრომამ...

უნდა გვქონდეს თუ არა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან და ყოფილ ავტონომიებთან?

„თუ შენც ჩვენსავით ფიქრობ, შემოუერთდი ჩვენს აქციებს“ — ასეთია „პატრიოტთა ალიანსის“ აქტივისტების მიერ თბილისსა და ბათუმში დარიგებული პროკლამაციის სათაური, რომლის შინაარსი ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია და ასახავს 2008 წლის აგვისტოში დატრიალებულ მოვლენებს.

9 წელიწადი გავიდა იმ ავადსახსენებელი აგვისტოდან, რომელმაც წელში გატეხა საქართველო, დააკარგვინა ქვეყნის ისედაც მცირე ტერიტორიის 20 პროცენტი, გააუცხოვა მრავალი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მცხოვრები ოსების, აფხაზებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულება. ისე დააშორა ისინი ერთმანეთს, თითქოს არასდროს არ ჰქონიათ კეთილმეზობლური ურთიერთობა.

დიახ! საქართველომ უნდა იაქტიუროს, ის უნდა იყოს ინიციატორი, ვინაიდან საქართველოა წაგებული და არა რუსეთი ან დასავლეთი. და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს ქართველები, ოსები, აფხაზები, რუსები. ერთმორწმუნე რუსეთის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია!

ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარს იტყვის ნატოში გაწევრებაზე და აშშ სამხედრო ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებაზე!

რა ვიცით საქართველოდან გამოყოფილი ყოფილი ავტონომიების შესახებ?

ბევრი არაფერი. ქართული მედია ძირითადად უცხოური ამბების გაშუქებით იქცევს თავს, თანაც საქართველოსთან რომ არავითარი შეხება არა აქვს და ამ დროს ჭორის დონეზე, ერთობ იშვიათი, თანაც უსუსური, მჭლე ინფორმაცია, დაკარგული ჩვენი ტერიტორიებიდან.

მიძინებულ ქართველ საზოგადოებას თუ იშვიათად გამოაფხიზლებს ჟენევის ე.წ. მოლაპარაკების პროცესი ან აბაშიძე-კარასინის პრაღის შეხვედრა — ეს არის და ეს. სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურადაა, მდორედ და უინტერესოდ. არ ჩანს არც მთავრობის დანაპირები შემორიგება-შემოერთება და არც სახალხო დიპლომატია. ამ მოდუნებულ და საღათას ძილის ფონზე არსებულ ვითარებაში მეხივით გავარდა „პატრიოტთა ალიანსის“ მოწოდება.

აქვე დავძენ — არავითარი კავშირი არ მაქვს ამ პარტიულ ორგანიზაციასთან, ისე, როგორც სხვა პარტიასთან, არც ჩემს სიმპათიას გამოვხატავ მის ან სხვათა მიმართ, მაგრამ მივესალმები მის მოწოდებას, ვინაიდან კეთილი საქმისკენ არის მიმართული და არა მარტო კეთილი, არამედ ქვეყნისთვის სასიცოცხლოსა და აუცილებლისკენ.

ვეთანხმები მოწოდებაში ჩაწერილ მოსაზრებას — „ნაცების“ მიერ მიღებულ კანონთან „ოკუპირებული ტერიტორიებთან“ დაკავშირებით: კანონის მეოთხე მუხლი — **„ჩვენ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს ერთმანეთს საბოლოოდ გვაკარგვინებს. ამავდროულად კონფლიქტის მოსაგვარებლად პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან ღალატად გამოცხადდა, რამაც უდიდესი ზიანი მოუტანა ჩვენს სამშობლოს.“**

„პატრიოტთა ალიანსი“ მოუწოდებს ერსა და ბერს გაიზიარონ მოწოდება და აიძულონ ხელისუფლება დაიწყოს პირდაპირი დიალოგი ყოფილ ავტონომიებთან და რუსეთთან. „პატრიოტთა ალიანსმა“ უკვე გადადგა ამ მიმართულებით ნაბიჯი — იმყოფებოდა რა რუსეთში, სადაც მოლაპარაკება გამართა რუსეთის დუმის წევრებთან. რა არის ამაში ცუდი ან დასაგმობი?

ნებისმიერი ომი და სისხლისღვრა ისევ და ისევ მოლაპარაკებით მთავრდება. 2008 წლის ომიც მედვედევ-სარკოზის მოლაპარაკებით დამთავრდა, რამაც მშვიდობა მოუტანა საქართველოს. თავიდან აგვაშორა სისხლისღვრა, ცხელ წერტილად გადაქცევა, რაზეც ზოგიერთი ჩვენდამი მტრულად განწყობილი დასავლელი ოცნებობდა — რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მუდმივი ცეცხლის აგიზგიზებას. ამის შესახებ წერს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურის ყოფილი უფროსი სკარლეტი გაზეთ „The Guardian“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პრეზიდენტ სარკოზის ძალისხმევით, შეიქმნა დოკუმენტი, რომელსაც ხელი სააკაშვილმაც მოაწერა, მაგრამ ხელმოწერამდე გადაშალა პუნქტი, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი — საქართველო იწყებს მოლაპარაკებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მათი სტატუსის დადგენისთვის.

„საქართველო ერთიანი და მთლიანია და მას არ სჭირდება სტატუსის დადგენაო“, — უპასუხია საერთაშორისო ავანტიურისტ საკაკაშვილს სარკოზისთვის — წერს ბრიტანული დაზვერვის სამსახურის ყოფილი უფროსი. სწორედ მე-6 პუნქტის ამოშლამ გამოიწვია რუსეთის მოქმედება, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

მაგრამ აღიარება ხელმოწერისთანავე არ მომხდარა — აგვისტოს ბოლოს მოხდა. მანამდე რუსეთი და სარკოზი ძალას არ იშურებდნენ დაეშოშმინებინათ გაავებული სააკაშვილი, რომელიც შურისძიების დორბლებს ყრიდა და ახალი აგრესიით იმუქრებოდა ყოფილი ავტონომიების მიმართ.

ვერ დაამშვიდეს, რასაც მოჰყვა რუსეთის გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. ამის შემდეგ მართლაც ჩაცხრა ვითარება, თუ არ ჩავთვლით გამაღიზიანებელ რიტორიკას. ადგილი აღარ ჰქონია იმ პროვოკაციულ აქტებს, რაც გამუდმებულადდ ხდებოდა „ნაცური“ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, რუსეთის საწინააღმდეგოდ.

ამის შემდეგ, სამწუხაროდ, ისე დავშორდით ყოფილ ავტონომიებს, თითქოს ისინი სადღაც სხვა კონტინენტზე მდებარეობდნენ. ამ დროს „პატრიოტთა ალიანსის“ მოწოდება. განა რა არის ამაში დასაგმობი ან შეურაცხმყოფელი, საქართველოს მეობის შემბღალავი?

პირიქით, ჩემი აზრით, მისასალმებელია ამ პარტიის აქტიურობა და არა მარტო მისასალმებელია, არამედ გასაზიარებელიც.

„პატრიოტთა ალიანსს“ ასეთი მოწოდება აქვს — საქართველო, რუსეთი, ნატო, ანუ ნატოს მეშვეობით მოლაპარაკებათა წარმართვა. ჩემი აზრით, ნატო არაფერ შუაშია, ვინაიდან, თავისი წესდებიდან გამომდინარე, ეს ორგანიზაცია არ არის მიმართული მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის. გარდა ამისა, არც საქართველო და არც რუსეთი ნატოს წევრები არ არიან.

ნატოს აქვს გარკვეული პროგრამა საქართველოსთან, რომელიც უდავოდ მიუღებელია რუსეთისთვის. ნატო ცდილობს, შეასრულოს აშშ-ის დავალება რუსეთის რკალში მოქცევის თაობაზე და ამიტომაც ხნის ის საქართველოში სამხედრო-სასწავლო ცენტრს, ატარებს სამხედრო წვრთნებს და ა.შ. ასე რომ, ნატოს თავისი მიზნები აქვს, რაც არამც და არამც არ ითვალისწინებს საქართველო-რუსეთის შერიგებას, კეთილმეზობლობას, პირიქით.

„პატრიოტთა ალიანსის“ განცხადებასთან დაკავშირებით ნატოს მაღალჩინოსანმა, ჩვენთვის ნაცნობმა აპატურაიმ ნეგატიური მოსაზრება გამოთქვა. გარდა ამისა, „პატრიოტთა ალიანსის“ გასაგონად ვიტყვი — დროა, ყოველგვარი შუამავლების გარეშე დაველაპარაკოთ რუსეთს, აფხაზეთსა და ოსეთს. თუ რა მოგვიტანა ასეთმა შუამავლობამ — აშკარაა, მდგომარეობის მხოლოდ გაუარესება.

მაგრამ ჩემს აზრს, როგორც ჩანს, ბევრი არ გაიზიარებს, ვინაიდან მათ ამპარტავნული გრძნობები ამოძრავებთ. ერთ-ერთი მათგანია მალხაზ ჟვანია, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ მოწოდებას „თავხედობად“ მიიჩნევს და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე აცხადებს: „როცა პარტიის ლიდერების მხრიდან ისმის მოწოდება იმის თაობაზე, რომ ჩვენ პირდაპირ უნდა ველაპარაკოთ სოხუმსა და ცხინვალს, ეს ერთმნიშვნელოვნად ამაზრზენია, ვინაიდან, არსებითად, უშუალო სეპარატისტებთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მიერ ამ თვითმარქვია წარმონაქმნების ლეგიტიმურობის აღიარებას ნიშნავს“.

„ექსპერტის“ მოსაზრებას თუ გავყვებით, სამარადისოდ უნდა შევწყვიტოთ ოცნებაც კი დაკარგულის დაბრუნებაზე, მით უმეტეს, მათთან მოლაპარაკების გამართვაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე. ქართულ პოლიტიკას, განსაკუთრებით „ნაცურ“ ოპოზიციას მიაჩნია, რომ რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებაში მესამე მხარე (მხარეებიც) უნდა იღებდნენ მონაწილეობას, ვინაიდან ორმხრივი ფორმატის პირობებში საქართველო წააგებს.

თუ რეალობას გადავხედავთ, აბაშიძე-კარასინის შეხვედრები პირისპირ მიმდინარეობს. გარდა ამისა, საქართველო სიტყვით ხომ მაინც არის დამოუკიდებელი და სუვერენული? ასეთს არ უნდა ეშინოდეს სხვასთან მოლაპარაკება დამხმარე ძალის გარეშე.

„ექსპერტის“ მოსაზრება ძველში დაბრუნებას ნიშნავს. საბჭოთა კავშირის დროს თვით საბჭოთა რესპუბლიკების „გადაწყვეტილებით“ საგარეო პოლიტიკა ცენტრს, ანუ მოსკოვს, ჰქონდა მინდობილი და ის წყვეტდა ჩვენი და სხვა რესპუბლიკების საგარეო საკითხებს. იქნებ ეს ძველი მეთოდი გამოგვყენებინა და ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორისთვის“ (აშშ) მიგვენდო საქართველოს საგარეო თუ საშინაო საკითხების მოგვარება?

თუმცა მინდობა რად უნდა, ჩვენთან შეუთანხმებლად აფათურებს ის ჩვენს საშინაო და საგარეო საკითხებში ხელს. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რაც რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე გამართული „თოქ-შოუს“ დროს მოვისმინე — საქართველოსთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, ვინაიდან ის აშშ-ის გარეშე არაფერს წყვეტს. ამდენად საქართველოსთან მიმართებაში ამერიკელებთან მოლაპარაკებებისას ვიმსჯელებთო.

რა გამოდის — უჩვენოდ გადაგვიწყვეტენ საკითხებს, თუნდაც ტერიტორიულ მთლიანობას?

ასე იცის ჩირგვებში შეძრომამ, უჭკუო ამპარტავნობამ, დიპლომატიისა და საერთაშორისო საკითხების არცოდნამ.

დიახ! საქართველომ უნდა იაქტიუროს, ის უნდა იყოს ინიციატორი, ვინაიდან საქართველოა წაგებული და არა რუსეთი ან დასავლეთი. და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს ქართველები, ოსები, აფხაზები, რუსები. ერთმორწმუნე რუსეთის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია!

ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარს იტყვის ნატოში გაწევრებაზე და აშშ სამხედრო ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებაზე!

სასაცილოდ ჟღერს გაზეპირებული ფრაზების გამეორება — „საერთაშორისო საზოგადოება“ ან „ჩვენი დასავლელი მეგობრები“, რომლებიც „აღშფოთება-შეშფოთებას“ არ მალავენ, მაგრამ მერე რა? ამ აღშფოთებით და შეშფოთებით დაგვიბრუნდა დაკარგული ტერიტორიები?

საყოველთაო „აღშფოთების“ ჟამს 9 წელიწადი მიილია, ერთი იმდენიც, თუ მეტი არა გაივლის, მაგრამ ჩვენი პრობლემა, პრობლემად დარჩება. ჩვენც შევეგუებით ამას, მით უმეტეს, ახალი თაობა, რომელსაც თვალითაც არ უნახავს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ეს უმშვენიერესი მხარეები, სადაც მე წლების მანძილზე წარმატებით ვმუშაობდი.

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოს და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი

ვილი ალავიძე:
მოუნანიებლად შენდობა არ არსებობს!

მე - ბატონო ვილი, როგორც ვხედავთ და ვიცით, დღეის ხელისუფლება და პარლამენტი თითქმის არ ახსენებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. დღეის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ერთი ხანობა გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი, რომლის დევიზი გახლდათ: „გახსოვდეს აფხაზეთი!“ არ გვახსოვს. არადა, რა უნდა იყოს უფრო მეტად საშური, ვიდრე სახლიკაცებთან ურთიერთობის მოგვარება. სანამ უნდა იწოწიალონ კარდაკარ ჩვენმა დევნილებმა.

ვილი ალავიძე - მოვეშვათ, ბატონო მურმან, ამ ტერმინს. არა დევნილი, არამედ უნდა ითქვას: იძულებით გადაადგილებული. როგორ შეიძლება, ადამიანი სამშობლოში იყოს დევნილი?!

— კარგი და პატიოსანი. მაგრამ ხომ მაინც იბადება კითხვა: სადაა გამოსავალი?

— აგერ, თითქმის სამი ათეული წელია გასული 1989 წლის ზაფხულის ტრაგიკული მოვლენებიდან. ვერ მოვაგვარეთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რაც შემდეგში სამოქალაქო ომში გადაიზარდა. დრო გადის, მაგრამ დღემდე ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით ერთი ნაბიჯითაც არ წაგვიწევია წინ. პირიქით, წლიდან წლამდე კიდევ უფრო ვშორდებით ერთმანეთს. არადა, დრო და სახსრები იკარგება არაფრისმომცემ შეხვედრებში.

— ესე იგი, გაყოფილია სიტყვა და საქმე.

— „ასეა ეს,“ —- როგორც იტყოდა დათა თუთაშხია. ჩვენ საქმით უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს სახლიკაცებს, რომ კონფლიქტის მიუხედავად, მაინც საქართველოა მათი სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული აყვავების გარანტი. უნდა აღვადგინოთ ძველი ტრადიციები, სათავეში რომ ედგნენ დიდი ქართველები: თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, სიმონ ჯანაშია, კონსტანტინე მაჭავარიანი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე...

უნდა აღვადგინოთ გაწყვეტილი ლიტერატურული ურთიერთობა. ვუერთგულოთ ილიას, აკაკის, გიორგი შერვაშიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის გაკაფულ გზას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აუცილებლად შეიქმნება აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ახალი მოდელი.

— ბატონო ვილი, თქვენ თითქმის მთელი ერთი ათეული წელიწადი მოღვაწეობდით აფხაზეთში. რესპუბლიკის მეორე კაცი ბრძანდებოდით და თქვენეული თვალსაზრისი ცხადია, ფრიად საგულისხმოდ მესახება.

— ომის შედეგად მოხდა გაუცხოება. მოსახლეობის ერთ ნაწილს სძულს, ხოლო მეორე ნაწილს უყვარს ერთმანეთი და სურს ტრადიციული ურთიერთობის აღდგენა. რომელი მხარე გაიმარჯვებს, იმაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი მომავალი. ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა იმაზე, რაც გვთიშავს, არამედ იმაზე, რაც გვაახლოებს და გვაერთიანებს. ხომ გახსოვთ: „ლურჯ ბედაურს მოაგელვებს მეგობრისთვის მეგობარი.“ რუსთველისეულმა მეგობრობამ უნდა გაგვაერთიანოს. მონანიება და შენდობა. მონანიების გარეშე შენდობა არ არსებობს. აი, ის, რაც გვაკლია. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ — ყველგან და ყოველთვის როდია გამოსადეგი.

მტერ-მოყვრის გარჩევა არაა იოლი,. მაგრამ პირველ სიტყვას რომ მივუბრუნდეთ, ჩემი გაგებით, ბატონო მურმან, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების მთავარი ინსტრუმენტი უნდა გახდეს ეკონომიკა. თუმცა ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ არამარტო ეკონომიკით ვიყავით დაკავშირებული ერთმანეთთან ქართველები, აფხაზები და ოსები, არამედ ლომის წილი მიუძღვოდა კულტურასა და ნათესაურ კავშირს. აფხაზურ-ქართული და ქართულ-ოსური შერეული ოჯახები მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტს შეადგენდა. როგორ შეიძლება ამ ოჯახების დაწიაწეება-განცალკევება? მინიატიურაში ოჯახი ჰგავს სახელმწიფოს. თავისი წესითა და ადათით. ისიც ვთქვათ, რაც არაერთგზის თქმულა, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მარადჟამს იყო მრავალეროვანი. გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ (და ცხოვრობენ) ქართველები, რუსები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები. გვერდიგვერდ არსებობდა (არსებობს) სხვადასხვა რელიგია.

— კულტურა ვახსენეთ. დე გოლმა თავის კულტურის მინისტრს ანდრე მალროს სახელმწიფოს მეორე პირი უწოდა.

— მეც მანდა ვარ. გამოვიყენეთ კულტურის ენა? რა ენითაც გვესაუბრებიან რუსთაველი, ვაჟა, ნიზამი, საიათნოვა, ავეტიკ ისააკიანი, კოსტა ხეთაგუროვი, დიმიტრი გულია. და საუბრობენ ჩვენი თანამედროვენი, კაზმული სიტყვის, ფერწერისა და მუსიკის მოამაგენი. ამ კუთხით, უპრიანი იქნება აქ გავიხსენოთ გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“, რა სახელწოდებაც გალაკტიონის ცნობილი ლექსიდან გამომდინარეობს და რა სპექტაკლიც დადგა ბატონმა თემურ ჩხეიძემ.

— სიტყვამ მოიტანა და, ბატონო ვილი, მე იმ სპექტაკლისთვის ცალკე ესეი მაქვს მიძღვნილი, რაც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა.

— გურამ ოდიშარიამ და მისმა თანამოკალმემ, აფხაზმა მწერალმა ბათალ კობახიამ დააარსეს ალმანახი „სამხრეთი კავკასია“, სადაც ქვეყნდება ქართველი, აფხაზი, ოსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებები. საგულისხმოა აზერბაიჯანელი მწერლების, ფაჰრი უგულრუს და **ელჩინ ჰუსეინბეგლის** ნაწარმოებები: „ომი“ და „ტყვეები“. ოსი მწერლის, კოსტა ძუგაევის „ტყვიით დაცხრილული ტერიტორია“, სომეხი მწერლის ვარდგეს ოვიანის „მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლევ“, აფხაზი მწერლების დაურ ნაჭყებიას და ფაზილ ისკანდერის „ღამეული სანაპირო“ და „ომი და ყმაწვილი“, გურამ ოდიშარიას „პრეზიდენტის კატა“...

მცირე ჩანართი:

არ შეიძლება, ბატონ ვილი ალავიძეს წაუკითხავი დარჩეს ესა თუ ის საყურადღებო ნაწარმოები. იგი ძირისძირამდე იცნობს ძველსა და ახალ მწერლობას, ლიტერატურას. შეიძლება ითქვას, მისთვის ისევე აუცილებელია როგორც ჰაერი. არც ერთი ჩვენი შეხვედრა ისე არ შემდგარა, მას არ მოეგონებინოს (და არ გამოეხმოს) ქართველი, აფხაზი თუ ოსი მესიტყვე და მათი ნახელავი. მას ახლო ურთიერთობა-მეგობრობა აკავშირებდა მრავალ მათგანთან (და აკავშირებს), როგორც აკავშირებს მას უწყვეტი ურთიერთობა-მეგობრობა თავის ძველ თანამშრომლებთან. მაგონდება ბატონი ვილის მიერ მოთხრობილი ერთი ფრიად სამახსოვრო ამბავი. აფხაზეთში გარდაიცვალა ახალგაზრდა კაცი, ცნობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე დავით ფილია. ბედის უკულმართობის გამო ვერ მოხერხდა მისი გაცილება. ქართველი და აფხაზი მეგობრები მაინც ეხმიანებიან ერთმანეთს, ქართველები აქ არიან, თბილისში, რესტორან „აფხაზეთში“, აფხაზები — სოხუმში, რესტორან „ამრაში“, და ისინი ტელეფონით ცვლიან სიტყვებს, მოიხსენიებენ განსვენებულს, ლოცავენ და ადღეგრძელებენ ერთმანეთს. თითქოს ერთი საერთო სუფრის მეინახენი იყვნენ, თითქოს თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს. ვინ არიან ესენი? კაცები, პიროვნებები, მეგობრები. თუმცა ეს სუფრა აფხაზურ სუფრასთან ასეული კილომეტრითაა დაშორებული. ილია მართალი გაგონდება. იგი იონა მეუნარგიას სტუმარია, ცაიშში: „სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვნახე“... დიდი საქართველო!!!

ბატონი ვილი ალავიძისთვის აფხაზეთი არ დაკარგულა, აფხაზეთი მასთან არის. იქ არის, სადაც ის არის თავად. ან კი აფხაზეთი და საქართველო რამ გაყო?

უფრო შორს რომ გავყვეთ ფიქრს, არათუ აფხაზეთი და საქართველო, საქართველო და მსოფლიოც ერთია და განუყოფელი. საქართველო მსოფლიოს ნაწილია. საქართველოს ნაწილი აფხაზეთია. აფხაზეთის ნაწილი სამურზაყანოა. სამაგალითოდ, ენგური ზღვაში შედის, ზღვის ნაწილია, მისი ერთი რაიონია, ზღვა კი მდინარეების დედაქალაქია. გავიმეოროთ, ენგური ზღვაში შედის, მაგრამ არ ილევა. მუდამ იქ არის, სადაც უნდა იყოს, ანუ თან შედის ზღვაში, თან არ შედის, და რაოდენი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზღვაში რომ შედის, სწორედ იმით ინარჩუნებს თავისთავადობას. ეს შეიძლება გადავიტანოთ საქართველოს კუთხეებზე, ან კიდევ შევადაროთ ჩვენებურ მრავალხმიან ხალხურ სიმღერას. ყველა თავისას ამბობს, მაგრამ ყველა ერთად ქმნის ერთ სიმღერას, ერთ ჰარმონიას.

ეს ყველაფერი, რასაც აქ ვამბობ, ბატონ ვილისთან საუბრიდან გამომდინარეობს, ანუ იგი ქართველიც არის და აფხაზიც. აფხაზიც არის და ქართველიც. მე არ მეგულება სხვა კაცი, ამდენს რომ ფიქრობდეს აფხაზეთზე. „მიიმღერა-მოიმღერა აქ ხვითომ, აფხაზეთის წვიმა მიყვარს ამიტომ.“

ასეა ეს, — ისევ გაიმეორა ბატონმა ვილიმ დათა თუთაშხიასავით და დასძინა:

— აფხაზეთის სიყვარული მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ გიყვარდეს შენი სახლიკაცი. ჩვენ, ბატონო მურმან, ყველანი წავალთ, და როგორც ამას ჭადრაკი და მისი ყუთი მიგვანიშნებს, საბოლოოდ ყველანი (მტერიც და მოკეთეც) ერთად მოვიყრით თავს. და რა საჭიროა ომი და ჯანდაბა, თუკი ისედაც მოვკვდებით ყველანი, ჩინიანი და უჩინონი, ამაოდ იხარჯება ტყვია-წამალი. თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი იასპერსი წერს, კარგია ატომის სადგური, ცუდ რამეშიც რომ არ გამოიყენებოდესო. დიდი გაკვეთილი ჩაგვიტარა სატანამ, პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი, ჩვენ კი ჭკუაზე ვერ მოვსულვართ. პირველი და მეორე მსოფლიო ომი უნივერსიტეტია, საიდანაც ცოდნა-განათლება უნდა გამოგვეტანა. ისევე როგორც ეს გააკეთეს გერმანელებმა, იაპონელებმა და კიდევ ზოგიერთმა ქვეყნებმა და ააყვავეს თავიანთი სამშობლო. აფხაზურ-ქართული კონფლიქტი გაკვეთილია იმ უზარმაზარ ომებთან შედარებით. ახლა იძულებით გადაადგილებულ ადამიანებზე ვთქვათ. ვინ უნდა დავაბრუნოთ აფხაზეთში? რა თქმა უნდა, ვისაც ხელი არა აქვს სისხლით გასვრილი. ვინც არ მოისმინა არაფრისმთქმელი გაკვეთილი და შინ დარჩა. სახლიკაცების ომში არ ჩაერია. ასეთები ხომ გაცილებით მეტნი და მეტნი არიან, ვიდრე ისინი, ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ. ეს უნდა გავიაზროთ ორივე მხარემ. ჩვენც და აფხაზებმაც (და ოსებმაც, ცხადია), პირნათელნი რომ დავრჩეთ ერთმანეთთან... ანუ ყველამ ჩვენ ჩვენი წილი უნდა მოვინანიოთ. დავდოთ ფიცი ჩვენი მითაჟამინდელი სალოცავებისა და ხატების, ჩვენი წმინდანი წინაპრების ხსოვნის წინაშე, რომ მსგავსი რამ მომავალში არ განმეორდება.

P. S.

ვილი ალავიძეს

კაცს უშრომელი ქონება ღუპავს, —
ასე ამბობდა განდი,
ვთქვათ, ჩვენებურად არამი ლუკმა,
რაც სიმართლეა ცამდი.

ერი, რომელიც გაურბის შრომას,
დღითიდღე ჰკარგავს მიწას,
და მალე სხვათა გახდება მონა
და ჭირს მოიმკის დიდძალს.

მალე, ვით ფოთოლს, წაგვიღებს ქარი,
თუ არ მოვუხმეთ ჭკუას,
გულზე მასვია, რაც შენ მითხარი,
ჭიქა და ჭიქას შუა.

მურმან ჯგუბურია
2017 წ. ივნისი

სააკაშვილის მხარდამჭერს სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ მხარდამჭერს ლვოვის სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სააკაშვილის პარტიაში კი უკანონო დაკავებების ახალ სერიაზე საუბრობენ. „ახალ ძალთა“ მოძრაობა განცხადებას სოციალურ ქსელში ავრცელებს და პროცედურულ დარღვევებზე მიუთითებს.

უკრაინული მედიის ცნობით, უკრაინა-პოლონეთის საზღვრის გადაკვეთის საქმეზე უკვე დაკითხულია 100-ზე მეტი ადამიანი, დაიბარეს რამდენიმე დეპუტატიც.



ბოლო წლებში თბილისში მოზღვავებულ სტუმართა საერთო აზრს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი დედაქალაქის უპირველესი ხიბლი მის არქიტექტურაში ძველი აღმოსავლური ელემენტების კავკასიურ თვითმყოფადობისა და გასული საუკუნის თუ თანამედროვე ევროპული ტენდენციების ორგანული, განუმეორებელი შერწყმაა. იმის თქმა, რომ წინაპართაგან შთამომავლობით მიღებულ ამ უძვირფასეს განძს უდიდესი რუდუნებით მოფრთხილება უნდა, რის უპირველესი პირობა ჯერ შემორჩენილ შენობა-ნაგებობათა სათანადო მოვლა-პატრონობა, რესტავრირება, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, მერე კი ახლების აგებისას უზადო გემოვნებისა და ტაქტის მოხმობაა აუცილებელი, თითქოს სრულიად ზედმეტია, თუმცა, ჩვენდა სავალალოდ, ამაზე მარტო ლაპარაკი კი არა, არამედ მთელი ძალით ყვირილიც და, უკაცრავად, თავში კეტის ჩაცხებაც ყოფილა საჭირო, როცა თბილისში (და არა მარტო დედაქალაქში!) სრულიად გაუგონარი „არქიტექტურული ანარქიზმის“ ნიმუშებს ვაწყდებით.

ამ და დედაქალაქის არქიტექტურის საჭირბოროტო სხვა საკითხზე საუბრის პატივი მქონდა სამამულო არქიტექტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან, თბილისის საპატიო მოქალაქესთან, ბატონ გიგა ბათიაშვილთან, რომელმაც საკუთარი ნაფიქრალ-ნააზრევიც გამიზიარა და რამდენიმე კონკრეტულ კითხვაზეც მიპასუხა:

რა დაამავა

— ვერაფრით გამიგია, მაინც რა დაუშავა თბილისმა, რატომ უნდათ მოონური სულისკვეთებით ასე ძლიერად გაჟღენთილთ, იგი მაინცდამაინც უცხო ძვეყნების, სხვა კულტურების შეძმნილ ძალაძებს დაამსგავსონ? — უპასუხო კითხვებს სვამს ბატონი გიგა.

— ჩვენი დედაქალაქი ხომ თბილისელთა კულტურის ქმნილებაა, რომელსაც თავისი განუმეორებელი, დასამახსოვრებელი სახე აქვს, როგორც შინაურთათვის, ისე უცხო თვალისთვისაც. ქართველებსაც და დედაქალაქში მცხოვრებ უამრავ ერთა შვილთათვისაც მხოლოდ თბილისისთვის დამახასიათებელი თანაცხოვრების წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები, მოქცევის მანერა გვაქვს, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა მოძრაობის პლასტიკა-ნახატი, ხმის მოდულაცია. გვაქვს სხვადასხვა განწყობის შესაფერისი აუარება მრავალხმიანი სიმღერა — თბილისური ბაიათი-მუხამბაზი, გამორჩეული „სუფრის აკადემია“, განსვხავებული შეფერილობა, იერ-სახე-გამომეტყველება... ყოველივე ეს და კიდევ უამრავი სხვა რამ ნიშან-თვისება კი მსოფლიო საგანძურის ერთ-ერთი უმშვენიერესი სამკაულია, რომელიც უაღრესად საინტერესოა სხვა კულტურების მატარებელთათვის. ამდენად ჩვენ, ერთიანად ყველას, ყველაფერი ძველის მოფრთხილება, თანაც ახლის მოვლა გვმართებს, რაც თბილისს მსოფლიო სხვა ქალაქებისგან საგანგებოდ გამოარჩევს, რათა ის მომავალში ისე გამოიყურებოდეს და ცხოვრობდეს დროის მოთხოვნილებათა დონის შესაფერისად, რომ გენეტიკური ფესვებიცა და ახლადაღმოცენებული ყლორტებიც მუდამ ჯანსაღნი იყვნენ. უწინ სწორედ ასეთმა მოპყრობამ შექმნა განუმეორებელი თბილისური ხიბლი.

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათაა დადგენილი, რომ არქიტექტურა და მის მიერ ჩამოყალიბებული სივრცე ადამიანის გონებითა და ბუნებრივი გარემოთი შექმნილი სამყაროა, რომელიც შემდგომ მშობლიური კულტურით საზრდოობს და რომელსაც, თავის მხრივ, მუდამ ერის გამორჩეული შვილები ქმნიდნენ.

უაღრესად საწყენიცაა და გულდასაწყვეტიც, რომ საზოგადოების ნაწილის (საბედნიეროდ არა უმეტესობის!) არსში დაიმკვიდრა უაღრესად ამაზრზენმა ფენომენმა, რომელსაც „მონური სულის სინდრომი“ ვუწოდე (ეს ტერმინი რუსული გამოთქმის „Холопья душа“-ს ერთგვარი კალკია, თუმცა კი იდიომის არსს სრულფასოვნად ვერ გადმოსცემს). ამ სულის მატარებლებს კი ერთი რომ საკუთარი ხელით რაიმე ღირებულის შექმნის არანაირი უნარი არა აქვთ, არც სხვის, მით უმეტეს ერის გამორჩეული შვილების მიერ შექმნილი განძეულის დაფასება-მოფრთხილების ნიჭი და სურვილი არ გააჩნიათ. საუბედურად, სწორედ ასეთი სულის პატრონები ჰქმნიან, როგორც ჩანს, ბოლო წლებში დედაქალაქის არქიტექტურულ პარტიტურას, თუმცა კი იმის დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში წმინდა წყლის შექსპირული ჟღერადობის კითხვებს „რასა?“ და „როგორს?“ პასუხს უკვე არა ისინი, არამედ ჭეშმარიტად ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული, საბაზრო პრინციპებით მოხელმძღვანელე, ნამდვილად დემოკრატიულად მოაზროვნე პროფესიონალები გასცემენ.

„გულივერის ბოტები“

— ბატონო გიგა, მაინც რა განაპირობებს იმის შეგრძნებას, რომ თბილისის ზოგიერთი ახალი შენობა მას არ შეესაბამება და ამოვარდნილია ქალაქის ერთიანი ანსამბლიდან, ზოგჯერ კი, სულაც, ამახინჯებს მას?

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მე ვიტყოდი არა „შეგრძნებას“, არამედ „წუხილს“, რომელსაც დროთა განმავლობაში ვეჩვევით კიდეც — ეს ჩვეულებრივი ადამიანური თვისებაა. როცა ქალაქის არქიტექტურისთვის აშკარად შეუსაბამო ნაგებობებს ჩვენ, უფროსი თაობის ხალხი, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვეჩვევით და ვეგუებით (თუმცა კი ბოლომდე მაინც არ ვიღებთ!), მომავალი თაობებისთვის ეს პროცესი უფრო მარტივად წარიმართება, რადგან ისინი უკვე იმ გარემოში გაიზრდებიან, რომელიც დაბადებისთანავე დახვდებათ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს უცხო კულტურის პროდუქტები, რომლებიც დღესდღეობით ძალითაა ჩანერგილი დედაქალაქში, სრულიად უმართებულოდ შეჭრილია მის სხეულში.

ამასთან, ისიც უნდა ვთქვა, რომ მათდამი თავშეკავებული დამოკიდებულება იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ კატეგორიულად არ ვღებულობთ — ეს, არსებითად, იმას მოწმობს, რომ ეროვნულ ფესვებზე „დაუმყნობლად“ ჩვენი კულტურისთვის ორგანულ პროდუქტს ვერ მივიღებთ, ეროვნულ ნიადაგზე პირდაპირ ახალი პროდუქტის გადმოტანა კარგ შედეგს არანაირად არ მოგვიტანს. ამ შემთხვევაში წაიშლება ეს განსხვავება, რითაც გამოვირჩევით დანარჩენი სამყაროსგან და ინტერესს წარმოვადგენთ მისთვის. ამდენად, საკუთარის, ყოველივე ეროვნულის მოფრთხილება უაღრესად ფაქიზი, დიდი სიფრთხილით მისადგომი საკითხი გახლავთ, რომლის უგულებელყოფა ყოვლად დაუშვებელია. არადა, სწორედ ამას ვაკეთებთ, როცა რაღაც ჩვენთვის ახალს, მაგრამ ეროვნული კულტურისთვის უცხოს დაუფიქრებლად კარს ვუღებთ, ანდა, პირიქით, ვუკეტავთ. ესაა, ჩემი აზრით, მომავლის ქვეყნის ღირებულებების წმინდა წყლის კულტუროლოგიური, გნებავთ, ფილოსოფიური ხედვა, საკუთარი თავის შეფასება და ხვალ თუ ზეგ დასამკვიდრებელი ადგილის მოძებნის მცდელობა. შთამომავლობის წინაშე სხვაგვარად მოქცევის უფლება არა გვაქვს!

სწორედ ამიტომაა, რომ თავს უფლებას ვაძლევ კიდევ ერთხელ გავიმეორო არაერთხელ ნათქვამი და დაწერილი, საზოგადოებრიობის წინაშე კვლავ წარმოვაჩინო დღესდღეობით დედაქალაქში არსებული თავისთავად იქნებ მშვენიერი, თუმცა მისთვის აშკარად უცხო სხეული. ბოლო წლებში დედაქალაქშიც, სხვაგანაც, ბევრი ისეთი ნაგებობა გაჩნდა, რომლებმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესა-რადიო-ტელევიზიებში, არადა დროთა განმავლობაში აჟიოტაჟი მიწყნარდა, იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ისინი, ვისაც ამჟამად დედაქალაქში „არქიტექტურის საჭე“ უპყრია ხელთ, იმის უკან მობრუნების მოლოდინში არიან, ვინც ამგვარი „შედევრი“ მრავლად დაგვიტოვა...

— ვატყობ, რაღაც კონკრეტული მაგალითი გაქვთ მხედველობაში?

— თანაც, სამწუხაროდ, არა ერთი! ავიღოთ თუნდაც გრიბოედოვის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის შესაყარი, სადაც დაღმართის ძირში ახლაც დგას სრულიად უაზრო ბეტონის ბურჯი, რომელიც საბაგირო გზის ახალი ხაზისთვის იყო განკუთვნილი. ამ პროექტზე შემდგომ უარი ითქვა და სავსებით სამართლიანადაც, რადგან ამ ადგილიდან ასიოდე მეტრში ძველი საბაგირო გზის მშვენიერი ქვედა სადგურია, რომელსაც მხოლოდ რეკონსტრუქცია სჭირდება. ჰოდა, ეს სრულიად უაზრო ბურჯი წლების მანძილზე ისეთ უადგილო ადგილზეა გაჩხერილი, ზამთარში იქ ლიპყინული რომ მოიკიდოს, უამრავი ადამიანი და მანქანა დაილეწება.

ქალაქში ნორმალური ვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება. თავის დროზე უზარმაზარი სახსრები დაიხარჯა სამანქანო საცობებისგან თბილისის განტვირთვის პროექტებზე. ცენტრში, გმირთა მოედანსა და „ლაგუნა-ვერეს“ აუზთან ესტაკადები აშენდა, რომლებმაც სიკეთის მოტანის მაგივრად დედაქალაქს პრობლემები მოუმრავლეს: მტკვრის ხეობაში 40 კილომეტრზე გადაჭიმულ, სულ ათი ხიდის პატრონ და განივი განვითარების პერსპექტივის არმქონე ქალაქს, სამომავლოდ ტრანსპორტის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საუცხოო გზა — სანაპიროების ცალმხრივ მაგისტრალებად გადაკეთების საშუალება მოუსპო! თანაც გმირთა მოედნის ესტაკადაზე საცობი უკვე არა მხოლოდ პიკის საათებში, არამედ... მთელი დღის განმავლობაშია(!) ყოველივე ეს იმის გამო მოხდა, რომ საქმე



იუსტიციის სახლი სანაპიროზე


მილენიუმის „პიკი“


ლითონის ურჩხული პუშკინის ქუჩაზე

თბილისმა?

მხოლოდ ერთი თვალთახედვით გაკეთდა. ესტაკადების მოწყობა, ცხადია, საგზაო მოძრაობის განტვირთვის უდავოდ პროგრესული მეთოდია, მაგრამ მთავარია იმის სწორად განსაზღვრა, სად უნდა აიგოს ისინი და როგორ.

ახლა ისიც ვნახოთ, თუ ვინ შეიძლება უპასუხოს კითხვას „რა გვინდა?“ ამის უფლება, ცხადია, საზოგადოებასაც აქვს და პროფესიონალებსაც, მაგრამ კითხვას „როგორი უნდა იყოს?“, ამაზე პასუხი მხოლოდ პროფესიონალებმა შეიძლება გასცენ და ყოვლად დაუშვებელია საკითხის გადაწყვეტა დილეტანტმა ითავოს.

— ესტაკადების ამბავმა მართლაც დიდი პრობლემები წამოჭრა დედაქალაქისთვის, მაგრამ თბილისში ხომ კიდევ სხვა აუარება ობიექტია მავანთა „ხუშტურით“ აგებული? თუმცა რაღა ცალკეული ობიექტები, მთელი უბნები კი განა არაა მხოლოდ „ფულის მოსაჭრელად“ ახლად განაშენიანებული?

— ასე საკუთარ „ხოშზე“ წამომართული ყველაზე კოლორიტული ნაგებობა რიყეზე ეგრთ წოდებული „მილებია“, რომლებსაც „გულივერს დარჩენია ბოტები“ შევარქვი. სიმართლე გითხრათ, ამ მოყირჭებულ თემაზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს, მეუხერხულება კიდეც, თუმცა კი ახლა სხვა გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება. როცა კაცი ავტომანქანით ავლაბრის მხრიდან მეტეხის კლდეში გაჭრილი გვირაბით ჩუღურეთის მიმართულებით გადიოდა, მნახველის თვალწინ თბილისის ყველაზე ძვირფასი და მომხიბლავი სურათი იშლებოდა — ნარიყალის ციხე-სიმაგრიდან მთაწმინდამდე, თავისი გულში ჩახუტებული მამა-დავითის შესანიშნავი ფონით. არადა, ამ არაჩვეულებრივი სანახაობის ხილვა დღესდღეობით შეუძლებელია ვიღაცის ახირების გამო, რომელმაც გვირაბიდან გამოსასვლელი სანაპიროს ვაკე ადგილზე ახალი გვირაბი ააშენებინა იქ „ბუდა-ბარისთვის“ ადგილის მოსაწყობად. მერწმუნეთ, სწორ ადგილზე გვირაბს მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ! ეს სამშენებლო საქმიანობაში სრული უაზრობაა — გვირაბს კლდეში, მთაში, ანდა წყალქვეშ აშენებენ და არავითარ შემთხვევაში სწორზე, თუმცა, თუკი ასეთ ადგილას მაინცდამაინც გადახურვაა საჭირო, იქ გალერეას აწყობენ. ამის არაერთი მაგალითია საქართველოს სამხედრო გზაზე. ეს გვირაბი, უკაცრავად და, ისეთი არქიტექტურული ნაგავია, რომ აუცილებლად მოსანგრევია!

— ეგ გასაგებია, მაგრამ უშუალოდ „გულივერის ბოტებზე“ რას იტყვით?

— ეს ნაგებობა, ისევე, როგორც მათ გადაღმა იუსტიციის სახლი, დიდი არქიტექტორის თავისთავად საინტერესო ქმნილებებია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ თბილისისთვის ორივე უცხო სხეულია. რიყეზე მილებმა ძველი თბილისის ისტორიული მასშტაბი ერთიანად მოსპო. იმასაც ვიტყვი, რომ სამორინეს ადგილი სიონის საყდრის გვერდით ნამდვილად არ არის — ეს კულტუროლოგიური შეუთავსებლობაა.

ჩამოყალიბებული არქიტექტურული გარემოდან ამოვარდნის კიდევ ერთი თვალნათელი მაგალითია ახალი სასტუმრო „მილენიუმის“ შენობა, რომელიც მართალია ზედ რუსთაველის პროსპექტზე არ დგას, მაგრამ მთელი უბნის დომინანტი გახდა, თანაც მთაწმინდასაც კი „ეჭიდავება“. ცხადია, თბილისში მაღლივი შენობების აგება გარდაუვალია, მაგრამ მათთვის შესაფერისი ადგილმდებარეობა უნდა იყოს შერჩეული. ახლა კი „მილენიუმის“ შენობამ ვაკის მიმართულებით კიდევ რამდენიმე ვერტიკალის შექმნის საჭიროება წარმოშვა, რომლებმაც გარკვეული კომპოზიციური სისტემა უნდა შექმნან.

აბსურდის ნამდვილი „ზეიმია“ სრულიად გაუგებარი დანიშნულების მქონე ლითონის კონსტრუქცია, რომელიც დედაქალაქის შუაგულში, პუშკინის ქუჩის დასაწყისშია ახოხოლიკებული. სასაცილოცაა, ამავდროულად საცოდაობაც ამ სიმახინჯის მეპატრონეთა თუ მავან „კეთილისმსურველთა“ რკინის ურჩხულის შელამაზების ყოვლად უსუსური მცდელობა და ხალხის „თვალის მოსატყუებლად“ მასზე გაურკვეველი სიმბოლიკის მატარებელი დროშისმაგვარი ტილოს ნაჭრების გამოკიდება თითქოსდა საზეიმო განწყობის შესაქმნელად.

ამ „დაჟანგული ფოლადის ჯოჯოს“ ქვევით თუ ჩამოვუყვებით ბარათაშვილის ხიდამდე, უფრო სწორად კონკის ვაგონამდე არმისული, ძველი ქალაქის ზღაპრული ხედია — ქუჩაზე გადმოკიდებული აივნებით და გალავნის კედლის ახალი წყობით. არადა, გეგონება ჯიბრზეო, სწორედ აქ დარგეს გაუმაძღარმა ვაი-ქალაქელებმა ისეთი ხეები, რომლებმაც ეს ულამაზესი სურათი მნახველის თვალს დაუფარეს. გონიერი, საქმის მცოდნე კაცი კი აქ ან დაბალი ტანის ხეებს, ანდა, სულაც ბუჩქებსა და ყვავილებს გაახარებდა, რაც ამ არაჩვეულებრივ უბანს დიდებულ ჩარჩოდ წაადგებოდა...

ჩაკვეხებული კორპუსებით გატენილი ვაკე...

დაფარული ძველი თბილისი

ასე მოქცევა კი დედაქალაქისადმი, მისი სტუმარ-მასპინძლის მიმართ განსახიერებული უპატივცემულობაა.

— ცალკეული ობიექტების ჩამოთვლა, სამწუხაროდ, მრავლად შეიძლება, მაგრამ ბოლო წლებში მთელი უბნები რომ შენდება დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და არქიტექტურული მიმზიდველობის სრული უგულებელყოფით?

— მთელ უბნებში მათი ყოველგვარი რეკონსტრუქციის გარეშე მრავალსართულიანი შენობის „ჩაკვეხება“ დედაქალაქის განაშენიანების კიდევ ერთი უმტკივნეულესი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებულად მწვავედ დგას ვაკესა და საბურთალოზე, თუმცა კი ეს „სიკეთე“ არც სხვა უბნებს, მაგალითად, ვერასა და მთაწმინდას აკლია. არსებული ინფრასტრუქტურის სრულიად გაუთვალისწინებლად ახალი მაღლივი საცხოვრებელი კორპუსების ჩადგმა, სადაც ადამიანთა ნორმალური ცხოვრება და მუშაობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია — არა ჰაერი, არა დღის სინათლე, არა პარკინგი, არა წყალარინების სისტემის სიმძლავრეთა გაზრდა... თანაც, როცა ლაპარაკია ადრინდელი განაშენიანების უბნებზე, ვთქვათ, ვაკესა და საბურთალოზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ჩადგმული მრავალსართულიანი „ასანთის კოლოფები“ იქაურ მცხოვრებლებსაც და დედაქალაქსაც უახლოეს მომავალში დიდ თავსატკივარს გაუჩენენ, ამ უბნების ინფრასტრუქტურული რეკონსტრუქციისთვის, ვთქვათ, მავანთ „ძალა არ ეყოთ“, უფრო სწორად კი სიხარბემ სძლიათ. მაგრამ სპორტის სასახლის მიმდებარედ საცხოვრებელი ჯურღმულებით განაშენიანება ხომ აბსოლუტური ნულიდან დაიწყო?! მაშ, რამ განაპირობა ასეთი შედეგი?

— როგორ უნდა წარიმართოს მომავალში დედაქალაქის სამშენებლო-არქიტექტურული და ინფრასტრუქტურული მოწყობა, რომ აღნიშნული და კიდევ მრავალი სხვა სახის, რომ იტყვიან, „სწორ ადგილზე“ შექმნილ პრობლემებს თავი ავარიდოთ?

— ახლს არაფერს ვიტყვი: ერთია კონკრეტული პროექტის შემქმნელი პროფესიონალი, მეორე კი იმ სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც იმაზეა პასუხისმგებელი, რაც ქალაქში აშენდება. თბილისის დიდი უბედურება ისაა, რომ ქალაქის არქიტექტურის სამსახური სწორად არ არის ორგანიზებული. ამჟამად, დარწმუნებული ვარ, ის ერთიანად სარეკონსტრუქციო და გადასახალისებელია. მთავარი ისაა, თუ რა ხალხი უნდა განაგებდეს დედაქალაქის არქიტექტურის სამსახურს. ეს ადამიანები, უწინარესად, შემოქმედნი უნდა იყვნენ, ვინაიდან სწორედ შემოქმედებითი თვალთახედვით ხდება ხვალინდელი დღის განსაზღვრა. ამას უფრო ხატოვნად თუ ვიტყვით, ქალაქის არქიტექტურული პარტიტურა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის მქონე ორკესტრმა უნდა ააჟღეროს, რომელსაც ნიჭიერი დირიჟორი უხელმძღვანელებს.

ყველაფერი კი, უწინარესად, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა კეთდებოდეს.

ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე
გივი ჯოლბორდის ფოტო


ბეტონის გვირაბი სასწრაფოდ მოსანგრევია!

საქართველო პირველი უცხო ქვეყანაა, რომელიც ბორდოში ღვინის გამოფენაზე მიიწვიეს

შემოდგომის დადგომასთან ერთად საქართველოში რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. ამ დროისთვის უკვე 20 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

კახეთში რთველი პიკს დაახლოებით 10 დღეში მიაღწევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული მეღვინეობის დარგში საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ღვინის გამოფენაა, სადაც საქართველო იქნება პირველი უცხოური ქვეყანა, რომელიც ამ საგამოფენო სივრცეში წარმოჩინდება.

რა მდგომარეობაა დღეისთვის ქვეყანაში რთველის მიმდინარეობის მიმართულებით, აგრეთვე, რას ნიშნავს ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ბორდოს საგამოფენო სივრცე, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** ესაუბრა:

— მართალია, ჯერჯერობით რთველი პიკურ ფაზაში არ გადასულა, მაგრამ რა შეგიძლიათ გვითხრათ დღევანდელი მდგომარეობის შესახებ იგივე ჩაბარების, მოსავლის რაოდენობისა და ხარისხიანობასთან დაკავშირებით?

— დასაწყისისთვის მინდა დავაზუსტო, რომ რთველი, ფაქტობრივად, უკვე აქტიურ ფაზაში გადავიდა. ყოველდღიური გადამუშავება 3 000 ტონამდე ავიდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ახლა კახეთში საკმაოდ აქტიურია კრეფის პროცესი და ფაქტობრივად, უკვე 20 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა. მოსავლის დაახლოებით 20 პროცენტი უკვე დაწურულია. ასე რომ, კრეფა აქტიურად მიდის და ალბათ, მომავალ კვირაში, დაახლოებით 10 დღის მანძილზე კახეთში კრეფის პიკი იქნება.

— ყურძნის ჩაბარების პროცესი როგორ მიდის?

— ჩაბარების პროცესი საკმაოდ ორგანიზებულად მიდის. წელს წინა წლებთან შედარებით განსხვავებული ის არის, რომ კერძო სექტორი ყურძენს სრულად ითვისებს და სახელმწიფოს, შესყიდვაში ჩარევა, ფაქტობრივად, არ დასჭირვებია. აქედან გამომდინარე, ნაკლებია აჟიოტაჟი და ხმაური. რთველი მიდის ისე, როგორც უნდა მიდიოდეს ნორმალურ პირობებში და წელს, თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიის შეწყვეტა კიდევ ერთხელ ჩანს, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო, ანუ აღარ არის საჭირო, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა რთველის პროცესში.

— რაც შეეხება სუბსიდირების შეწყვეტას, ამან ხომ არ იმოქმედა ფასთწარმოქმნაზე და შესაბამისად, უკმაყოფილება ხომ არაა გლეხებში ამის გამო?

— ამ საკითხზე შეიძლება ვთქვათ, რომ პირიქით მოხდა. სახელმწიფოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სუბსიდირების აქტიური პროცესიდან გამოსულიყო, თუმცა წინა წლებში მაინც იყო ამის საჭიროება და სახელმწიფოც იღებდა თავის თავზე პასუხისმგებლობას, დარჩენილიყო სუბსიდირებაში, თუმცა წელს მოთხოვნა-მიწოდების ბაზრის ანალიზი უკვე გაკეთდა და შევამჩნიეთ, რომ მოთხოვნა იმდენად იყო გაზრდილი ექსპორტის ზრდიდან და ზოგადად დარგის გაჯანსაღებიდან გამომდინარე, რომ სუბსიდირების საჭიროება აღარ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ სუბსიდირება შეწყვიტა, წელს ფასი იგივე და ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით მაღალია, ვიდრე წინა წლებში. ასე რომ, არანაირი უკმაყოფილება არ ყოფილა, პირიქით.

— თუ გაქვთ მონაცემები დაახლოებით რამდენი ქარხანა იბარებს კახეთში ღვინოს?

— ჩვენს საკოორდინაციო შტაბში უკვე დარეგისტრირდა 150-მდე ღვინის კომპანია. დღეის მდგომარეობით, კახეთში ყურძენს 80-მდე კომპანია იბარებს და ამუშავებს. ჯამში, მეტ-ნაკლები რაოდენობით, ყურძენს 150 კომპანია გადაამუშავებს.

— კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას მინდა შევეხოთ. კონკრეტულად, ღონისძიებას, რომელიც საფრანგეთში, ბორდოშია დაგეგმილი. პრაქტიკულად ქართული ღვინის ასეთი პრეზენტაციის პრეცედენტი მსოფლიო ბაზარზე, როგორც ვიცი არ არსებობს. კონკრეტულად რა ღონისძიებაა, როგორ იქნება წარმოდგენილი საქართველო და რას ველოდებით ამ ღონისძიებისგან?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. მთავრობის პოლიტიკაც ასეთი იყო და ღვინის სააგენტოს სტრატეგიაშიც შემდეგი მონახაზი გვაქვს: რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა უნდა იყოს წარმოების პროცესში და მეტი აქტიურობა მარკეტინგულ ღონისძიებებსა და ზოგადად, ქართული ღვინის ცნობადობის გასაზრდელად.

წლების განმავლობაში, ჩვენ ამ სტრატეგიის მიხედვით ბევრ ღონისძიებას ვახორციელებთ. წელიწადში, მხოლოდ ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და მონაწილეობით 100-მდე ღონისძიება ეწყობა. უკვე შეიძლება ითქვას, რომ დარგის ერთობლივი მუშაობის შედეგად გვაქვს ძალიან კარგი წინსვლა, განსაკუთრებით ახალ ბაზრებზე ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდაში, ზოგადად გაყიდვებისა და ლოიალურობის გაზრდაშიც. ასე რომ, ღონისძიება, რომელიც იმართება ბორდოში, ამ მუშაობის შედეგია.

რაც შეეხება თვითონ ამ ღონისძიებას, ბორდოში ფაქტობრივად, მსოფლიოს მეღვინეობის დედაქალაქში, შეიქმნა მუზეუმი „ღვინის ქალაქი“, რომელსაც მეორენაირად „ღვინის ცივილიზაციის მუზეუმსაც“ ეძახიან. პრინციპში, მსოფლიოში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოფენო სივრცეა ღვინის თემაზე და აქ პირველი უცხო ქვეყანა, რომელიც მოწვეულია, არის საქართველო, რომლის საგამოფენო სივრცეშიც ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა იქნება წარმოდგენილი. ეს არის გამოფენა, რომელიც რამდენიმე უწყებამ ერთად მოამზადა. აქ ჩართული იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ღვინის ეროვნული სააგენტო, ღვინის კომპანიების კერძო სექტორი და სხვადასხვა სამინისტროები. გამოფენის პარალელურად ძალიან ბევრი ღონისძიებები და პრეზენტაციებია დაგეგმილი, სადაც ქართულ ღვინოს და ღვინის კულტურას წარადგენს ქართული მხარე, მაგრამ ამასთან, ძალიან ბევრი ჩვენი უცხოელი პარტნიორი, მეგობარი და ქართული ღვინის დამფასებელი მოაწყობს სხვადასხვა ტიპის კონფერენციებს. ოთხი თვის განმავლობაში საკმაოდ დატვირთული ღონისძიებებია დაგეგმილი ბორდოში. როგორც აღვნიშნე, ეს იმ მუშაობის შედეგია, რაც ჩვენმა მევენახეობა-მეღვინეობის დარგმა გასწია და ძალიან კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ქართული ღვინის ცნობადობა.

ყოველდღიურად რამდენიმე ასეული სტუმარი მოდის ამ გამოფენაზე და ეცნობა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს კულტურას. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ქართული მხარის ორგანიზებით.

http://www.newspress.ge/

თეთრი სახლის კომუნიკაციების უფროსი ყოფილი მოდელია

ყოფილმა მოდელმა ჰოუპ ჰიქსმა თეთრი სახლის კომუნიკაციების ხელმძღვანელის პოსტი ოფიციალურად დაიკავა. 29 წლის ჰიქსი თეთრი სახლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორის ენტონი სკარამუჩის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ მის მოვალეობას დროებით ასრულებდა. ახლა კი პოსტზე ოფიციალურად დაინიშნა. დიდი ხნის განმავლობაში ჰიქსი ივანკა ტრამპის კომპანიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტად მუშაობდა. სამოდელო კარიერა მან 11 წლის ასაკში დაიწყო.

იაპონიას ჩაძირვით ემუქრებიან!

ჩრდილო კორეის ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტო აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია გამოიყენოს ატომური იარაღი იმისთვის, რომ „ჩაძიროს იაპონია და აშშ ფერფლად აქციოს“.

„არქიპელაგის ოთხი კუნძული ატომური იარაღის დარტყმის შემდეგ, ზღვაში უნდა ჩაიძიროს. იაპონია აღარ იარსებებს ჩვენს გვერდით„ ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც „როიტერი“ აქვეყნებს.

რუსულ-ბელორუსული სამხედრო წვრთნები დაიწყო

ბელორუსში რუსულ- ბელორუსული სტრატეგიული სამხედრო სწავლება დასავლეთი 2017 დაიწყო. სამხედრო მანევრები ბელორუსის 6 სამხედრო პოლიგონზე გაიმართება. სწავლების დროს სამხედროები ტაქტიკურ ეპიზოდებს გაითამაშებენ ავიაციის და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების გამოყენებით. რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს სწავლება ბელორუსის და რუსეთის არმიის ერთობლივი მომზადების საფინალო ეტაპია, მას აქვს თავდაცვითი ხასიათი და არ არის მიმართული არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სამხედრო სწავლებაში მონაწილეობას იღებს 2 ქვეყნის 12 700 ჯარისკაცი, 70-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 680 ერთეული სამხედრო ტექნიკა მათ შორის 250 ტანკი და 10 სამხედრო ხომალდი.

სწავლების მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილი ნატოს წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერები და ამ სწავლებაში პირდაპირ საფრთხეს ხედავენ.

პოლონეთში მატარებელი გაიტაცეს

პოლონეთში პოლიციამ 35 წლის მამაკაცი დააკავა, რომელმაც სატვირთო მატარებელი გაიტაცა. ინციდენტი ხოტომოვის რკინიგზის სადგურზე მოხდა, საიდანაც 23 ვაგონი გაუჩინარდა. გამტაცებელმა მემანქანე მატარებლიდან იარაღის მუქარით ჩამოსვა. სამართალდამცველებმა ის ლეგიონოვოს სადგურში აიყვანეს. დანაშაულის მოტივი ამ დრომდე უცნობია.

მერკელმა იმღერა

გერმანიის კანცლერმა წინასაარჩევნო მიტინგზე იმღერა. სცენაზე მომღერალი უში ბრიუნინგი ცნობილ ჯაზურ კომპოზიციას ასრულებდა. ის მერკელთან მივიდა და მიკროფონი მიუშვირა, კანცლერი კი არ დაიბნა და მისამღერი წაიმღერა.

ჩინეთში ყველაზე ხანდაზმული პანდა გარდაიცვალა

ჩინეთში მსოფლიოს ყველაზე ასაკოვანი პანდა „ბასი“ გარდაიცვალა. 37 წლის ცხოველის გარდაცვალების შესახებ ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზიაში ოფიციალურად გამოაცხადეს და ცხოველის ხსოვნას წუთიერი დუმილითაც მიაგეს პატივი. „ბასი„ ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში 1980 წელს დაიბადა. ეროვნულ ნაკრძალში ის 4 წლის ასაკიდან იმყოფებოდა.

ვინ ააფეთქა თემურ მახაურის ავტომობილი?

პირი, რომელმაც კიევში სავარაუდოდ თემურ მახაურის ავტომობილი ააფეთქა, სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. „უკრაინსკაია პრავდა“ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ამჟამად უკრაინელი სამართალდამცველები ვიდეოჩანაწერს სწავლობენ, სადაც ჩანს, როგორ აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუდგენელმა პირმა, შემდეგ კი მიწისქვეშა გადასასვლელში მიიმალა.

შეგახსენებთ, რომ 8 სექტემბერს კიევის ცენტრში ქართული სანომრე ნიშნების მქონე ავტომანქანა ააფეთქეს. ავტომობილში სამი ადამიანი იმყოფებოდა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ქალი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფება, ბავშვის სიცოცხლეს კი საფრთხე არ ემუქრება. გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქე, წარმოშობით ჩეჩენი თემურ მახაურია.

ვალერი გელბახიანს პროკურორი ემუქრება

ადვოკატი ვალერი გელბახიანი „პირველ რადიოსთან“ საუბრისას აცხადებს,რომ მას ემუქრებიან. საქმე ეხება თელავის სასამართლოში მიმდინარე ერთ-ერთ საქმეს, სადაც **გელბახიანის თქმით, დასტურდება ,რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი დამნაშავე არ არის.** ამის მიუხედავად კახეთის სამხარეო პროკურორი თეა ბერიძე მოწმეებზე ზეწოლას ახდენს და ადვოკატის დაკავებით იმუქრება. **„მივმართავ შოთაძეს, დაიწყოს გამოძიება კახეთის სამხარეო პროკურორის თეა ბერიძის წინააღმდეგ,რომელმაც დაიწყო ზეწოლა მოწმეებზე და მუქარა ადვოკატზე, დაიკითხა მომწმე ,რომელმაც ეს დაადასტურა.“** — ამბობს გელბახიანი „პირველ რადიოსთან“.

ლიბიაში დაკავებული ქართველი მეზღვაურები ციხეში გადაიყვანეს

„ლიბიაში დაკავებული ეკიპაჟის თეთრმეტივე წევრი, **მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც ამჟამად გადაყვანილი არიან ციხეში და მიმდინარეობს მოკვლევა“,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა მამუკა ახალაძემ განაცხადა. მისივე თქმით, მათ გემის კაპიტნის გენადი კომახიძის ოჯახმა მიმართა და შეატყობინა, რომ ეკიპაჟის წევრები 30 აგვისტოს დააკავეს.

„სააგენტოში შემოვიდა განცხადება მოქალაქისგან, სადაც ის იტყობინებოდა მათი ოჯახის წევრის, მეზღვაურის, გემის კაპიტნის დაკავებას ლიბიაში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 30 აგვისტოს, ლიბიის ტერიტორიულ ზღვაში დააკავეს გემი, სახელწოდებით „რექსი,“ რომელზეც იმყოფებოდა ეკიპაჟის 11 წევრი და სამწუხაროდ სამი ქართველი მეზღვაური. გემი დააკავა ლიბიის სანაპირო დაცვამ, ე.წ. ცხელ კვალზე დევნის პრინციპით და სავარაუდოდ საქმე ეხება არალეგალურ ნაოსნობას და არალეგალურ ტვირთს. ეკიპაჟის 11-ვე წევრი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც ამჟამად გადაყვანილნი არიან ციხეში და მიმდინარეობს მოკვლევა,“ — განაცხადა მამუკა ახალაძემ.

ახალციხეში ტანსაცმელების და ოქროს ნივთების მაღაზია გაძარცვეს

წაღებულია სეიფი, სადაც ოქროს ნივთები იყო მოთავსებული. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, ძარცვის მუხლით დაიწყო.

ცემენტმზიდი გადაბრუნდა

ხელვაჩაურში, სოფელ აჭარისწყლის საავტომობილო გზაზე ცემენტმზიდი გადაბრუნდა. შემთხვევის დროს ერთი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მძღოლი კლინიკაში გადაიყვანა. მომხდარზე გამოძიება არ დაწყებულა და მძღოლი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა.



ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით	
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	
	შპს ჩირაგდანი XXI საუკუნე	ქ.თბილისი ქებურიას #59	2-541237 chiragdani21saukune@mail.ru	საყოფაცხოვრებო 572497 არასაყოფაცხოვრებო 275503	საყოფაცხოვრებო 0.25	არასაყოფაცხოვრებო 0.77

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

#	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ.ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ს გარეშე თეთრი/კუბ.მ.) ომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით	
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	
1	შპს „გაზ თრედინგ“	თბილისი,ატენის ქუჩა, კორპ.#3,ბ.#30	+995 595 110 222 gastrading2@gmail.com	7000000,00 არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	0,72-0,80	

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

◎ ოლიმპიზმი

სოკ-მა წერტილი დასვა

უკვე ოფიციალურად: 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები პარიზში გაიმართება, 2028 წელს კი მასპინძელი ლოს-ანჯელესი იქნება. საბოლოო გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პერუს დედაქალაქ ლიმაში მიმდინარე სესიაზე, არჩევნების შემდეგ მიიღო, თუმცა, მოვლენები ასე რომ განვითარდებოდა, წინასწარვე ყველამ იცოდა. ჯერ კიდევ ივლისში სოკ-ის რიგგარეშე სესიამ მხარი დაუჭირა აღმასრულებელი საბჭოს წინადადებას 2024 და 2028 წლების ორგანიზატორი ქალაქების ერთდროულად არჩევის შესახებ და ლოს-ანჯელესს, პარიზსა და სოკ-ს შორის სამმხრივი ხელშეკრულებაც გაფორმდა. ამრიგად, ლიმის სესიის არჩევნები მხოლოდ ფორმალობა იყო.

„ვულოცავ პარიზი-2024-ს და ლოს-ანჯელესი-2028-ს. ეს ორმაგად ისტორიული არჩევანია და, ამავდროულად, წაუგებელი სიტუაცია ქალაქ პარიზისთვის, ქალაქ ლოს-ანჯელესისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის. უკეთესი რამ ძნელი წარმოსადგენია. ოლიმპიური თამაშებისა და მთელი მსოფლიოს სპორტსმენებისთვის მომავალი 11 წლის განმავლობაში სტაბილურობის უზრუნველყოფა - ეს არის რაღაც ექსტრაორდინარული“ — განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა **თომას ბახმა**.

მისივე სიტყვებით, შთამბეჭდავი ოლიმპიური ისტორიის მქონე ორი ქვეყნის უდიდესი ქალაქები საოცარი ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს და ოლიმპიურ სულისკვეთებას ფანტასტიკურად უკაფავენ გზას.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

გარდაუვალი ტენდენცია

იტალია — სერბეთის მეოთხედფინალის კომენტარებისას ჩვენი კოლეგები გულისტკივილით აცხადებდნენ, „სკუადრა აძურას“ ნაცვლად ადვილი შესაძლებელია ბალკანელთა წინააღმდეგ დღეს საქართველოს ნაკრები იბრძოდესო.

მართლაც, რომ არა აპენინელებთან ჯგუფური რაუნდის ფინიშზე განცდილი საბედისწერო მარცხი (აღარაფერს ვამბობ გერმანიასა და უკრაინასთან ძნელად სავარაუდო ფიასკოზე), „ჯვაროსნები“ ისრაელიდან თურქეთში გადაბარგდებოდნენ და კაცმა არ იცის, პლეი-ოფში პირველი შესაძლო მეტოქის — ფინეთის შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, სადამდე წაიწევდნენ წინ.

თუმცა, თელ-ავივში დატრიალებული დრამის სპორტულ ასპექტს ვინღა ჩივის, როცა სამშობლოში დაბრუნებულ ილიას ზუროსის გუნდში თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი დაიწყო და მუნდიალის მოახლოებული საკვალიფიკაციო ტურნირის წინ მოვლენები დომინოს პრინციპით ვითარდება. კერძოდ, სანაკრებო კარიერა ერთბაშად სასტარტო ხუთეულის სამმა მუშკეტერმა — კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, გიორგი ცინცაძემ და, უკვე, ვიქტორ სანიკიძემ დაასრულა (ეს უკანასკნელი, მუხლის მოუშუშებელი ტრავმის გამო, საერთოდ დაემშვიდობა კალათბურთს).

ვატყობ, სიტყვა გამექცა, ამიტომ, მოდით, სტამბოლში მიმდინარე ბატალიებზე განვაგრძოთ საუბარი.

მართალია, ეტორე მესინა დაცვაში თამაშის აპოლოგეტად ითვლება, მაგრამ ჯენტილეს, ბიარნიანისა და გალინარის არყოფნამ მისი ტაქტიკური კრედო შესამჩნევად გააღარიბა, რაც ფარქვეშ გაჩაღებულ დეულში მარიანოვიჩისა და კუზმიჩის თვალსაჩინო უპირატესობაში გამოიხატა, შორეული ტყორცნებში კი ბელინელისა და დატომეს დიდოსტატობა ბოგდანოვიჩის ჩვეული სნაიპერობით განეიტრალდა. შედეგად

ალექსანდრ ჯორჯევიჩის ბიჭებმა 83:67 იძალეს და სლავური ნახევარფინალიც გამოცხვა: სერბეთი — რუსეთი, რომელიც დღეს 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ჩრდილოელელებმა კიდევ ერთხელ გააოცეს სპორტული სამყარო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ალექსეი შვედისა და ტიმოფეი მოზგოვის ლიდერობით მიღწეული წარმატებები, მათ შორის ბოლო — ბერძნებთან — 74:69, უკვე აღარც აღიქმება სიურპრიზად, რადგან სერგეი ბაზარევიჩმა ყველა რგოლში დაბალანსებული ისეთი ანსამბლი შექმნა, ნებისმიერი მეტოქის დაჩოქება რომ შეუძლია.

სხვათა შორის, ჯგუფურ ეტაპზე რუსებმა სერბებს 76:73 მოუგეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

რობერტ შავლაყაძის ახალი ოლიმპიური სიმაღლე

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში წიგნის — „რობერტ შავლაყაძე-ოლიმპიური სიმაღლე“ — წარდგინება გაიმართა.

მისი ავტორი ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და პუბლიცისტი პაატა ნაცვლიშვილია. უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი და უხვად ილუსტრირებული კრებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გამოიცა.

ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, სპორტული ფედერაციების მესვეურები, ვეტერანი სპორტსმენები და გულშემატკივრები დაესწრნენ. იქვე თავი მოიყარეს აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებლებმა, ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ფრენბურთელმა ვაჟა კაჭარავამ და გაზეთ „ლელოს“ საპატიო რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ. საგულისხმოა, რომ რობერტ შავლაყაძე, რომელიც 84 წლის გახლავთ, პაატა ნაცვლიშვილთან ერთად ასევე სეოკ-ის დაფუძნების ერთ-ერთი მოთავე გახლდათ.

„მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის ოჯახის წევრებო, ძვირფასო გულშემატკივრებო!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლეულს რამდენიმე კარგი გამოცემით გაგვახარა, ეს წიგნი კი, რომლის წარდგინებასაც ვესწრებით, ხარისხით უდავოდ გამორჩეულია! თუმცა, ბატონი რობერტი და მისი სპორტული კარიერა ამაზე ნაკლები დონის გამოცემას, ასეთ ყოვლისმომცველ წიგნს ნამდვილად არ იმსახურებს.

ბატონი რობერტი ქართული სპორტის ლეგენდაა და ეს არ გახლავთ გადაჭარბებული სიტყვები. ის, რაც ჩვენმა საამაყო მძლეოსანმა რომის ოლიმპიადაზე მოახერხა, მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია: ოლიმპიური „ოქრო“ უძლიერეს ამერიკელ სპორტსმენებთან ორთაბრძოლაში მოიპოვა და, თან, ოლიმპიური რეკორდით!

დარწმუნებული ვარ, იმ წლებში მძლეოსნობაში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები რომ ჩატარებულიყო, ბატონი რობერტის კარიერა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

მსურს, ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარს მივულოცო ასეთი კარგი და მაღალი დონის გამოცემა, თანამედროვე სპორტსმენებს კი დიდი გამარჯვებები ვუსურვო, რათა წლების შემდეგ მათ შესახებაც გამოიცეს ასეთი კარგი წიგნები“, — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**.

ნაშრომის შესახებ ისაუბრეს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა, პაატა ნაცვლიშვილმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, სპორტულმა ჟურნალისტებმა ნუგზარ რუხაძემ, დემიკო ლოლაძემ, გია გორგოძემ, თენგიზ გაჩეჩილაძემ. წარდგინებას სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სპორტული ჟურნალისტი ლაშა გოდუაძე უძღვებოდა.

რობერტ შავლაყაძე რომის ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორია. ქართველმა მძლეოსანმა სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა: მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენს, ამერიკელ ჯონ თომასსა და მის თანამემამულეს, წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ჩარლზ დუმასს აჯობა! მეტიც — თავად დაამყარა ოლიმპიური რეკორდი და გააცამტვერა მითი ამერიკელთა უძლეველობის შესახებ. სწორედ შავლაყაძე აღმოჩნდა ის პირველი ევროპელი სპორტსმენი, რომელმაც დაამხო ამერიკელთა მრავალწლიანი ჰეგემონია სიმაღლეზე ხტომაში და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ქართველი მძლეოსნის ტრიუმფის მეორე დღეს „ნიუ იორკ ტაიმსში“ ჯონ თომასის სანუგეშოდ დაბეჭდილ ამ სიტყვებს ამოიკითხავდით: „თომასი ჯერ ახალგაზრდაა, მომავალი წინ აქვს და მისთვის უკეთესია, თუ შეძლებს ამ მარცხის გმირულად გადატანას, ოღონდ, უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო დიდია და განუწყვეტლივ წარმოშობს ახალ შავლაყაძეებს“.

რომის ოლიმპიადის გარდა რობერტ შავლაყაძემ 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო, 1957-1963 წლებში — სოციალისტური ქვეყნების თამაშები, 1958-1962 წლებში კი — ძმები ზნამენსკეების პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი. 1960 წელს ქართველ მძლეოსანს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

რობერტ შავლაყაძე ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსების და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენების კავალერი გახლავთ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

თხა თხაზე ნაკლები...

გუშინ ვწერდით, რომ ლეო მესიმ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი სეზონის სტარტზე „იუვენტუსთან “ შესრულებული დუბლით პირადი მონაგარი ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში 98 გატანილ ბურთამდე გაზარდა და მჭიდროდ მიუახლოვდა კრისტიანუ რონალდუს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე დღეს „რეალის“ ლიდერმა სტატუსკვოს აღსადგენად ძალები არ დაზოგა და აპოელის კარი ასევე ორჯერ დალაშქრა, რამაც საშუალება მისცა უკვე 107 გოლის ავტორი იყოს.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელი „ბარსელონას“ სუპერვარსკვლავს მცირე უპირატესობით დაუსწრებელი პრინციპული დუელის კიდევ რამდენიმე კომპონენტში უსწრებს:

პენალტი: რონალდუ — 12, მესი — 11;

საშინაო გოლი: რონალდუ — 55, მესი — 54.

ალბათ, არგენტინელი მდევრის

როლს არ დასჯერდება, თანამედროვე ფეხბურთის ამ გენიალურ წარმომადგენელთა კონკურენცია კი, დაგვეთანხმებით, გულშემატკივარს კიდევ მრავალ დაუვიწყარ სპექტაკლს უქადის.

„ე“ ჯგუფი. „ლივერპული“ — „სევილია“ 2:2, „მარიბორი“ — „სპარტაკი“ 1:1.

„ვ“ ჯგუფი. „ფეიენოორდი“ — „სიტი“ 0:4, „შახტარი“ — „ნაპოლი“ 2:1.

„ზ“ ჯგუფი. „ლაიფციგი“ — „მონაკო“ 1:1, „პორტუ“ — „ბეშიქთაში“ 1:3.

„თ“ ჯგუფი. „რეალი“ — „აპოელი“ 3:0, „ტოტენჰემი“ — „დორტმუნდი“ 3:1.

გიორგი ზოთაძე

სულთათანა

იბრძოლა და იღვაწა სამშობლოსთვის
კარლო გარდაფხაძის არდავიწყება

სულ ორი წელია, რაც დატოვე შენი ძვირფასი ოჯახი და მეგობრები. დღეს შენ 100 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ამ ბედნიერ თარიღს ვერ მოესწარი.

შენ განვლე ცხოვრების მეტად ძნელი და წინააღმდეგობებით დატვირთული 98 წელი. იყავი ფართო განათლების მქონე, კაცთმოყვარეობის ტრადიციებზე აღზრდილი და სამართლიანობის დამცველი კაცი. დაუღალავმა შრომამ, ორგანიზატორული და შემოქმედებითი საქმიანობის დიდმა ნიჭმა შეგაძლებინა უმწიკვლოდ და დიდებით გაგეევლო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ხანგრძლივი და ურთულესი ცხოვრების გზა. მიუხედავად იმისა, რომ შენი სამსახურებრივი მდგომარეობით გქონდა ჯავშანი და არ ექვემდებარებოდი ფრონტზე გაწვევას, 24 წლისამ თხოვნით მიმართე სამხედრო კომისარიატს და გაწვეული იყავი ფრონტზე. არაერთ საბრძოლო მოქმედებაში მიიღე მონაწილეობა კავკასიის დაცვის ბრძოლებში. შენმა ასეულმა ბევრჯერ ისახელა თავი საბრძოლო მოქმედებებში, სადაც დაიჭერი და ინვალიდი დაბრუნდი ოჯახში. ომის შემდეგ მთელი 10 წელი სხეულით ატარებდი მტრის მიერ ნასროლ ტყვიას, მოგწონდა შენი განვლილი გზა და ამ ნატყვიარითაც ამაყობდი.

ფრონტიდან დაბრუნებისა და გამოჯანმრთელების შემდეგ ჩაერთე ქვეყნის აღმშენებლობის ურთულეს საქმეში და მუშაობდი პარტიულ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იყავი სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის გამგე, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ხოლო შემდეგ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.

1961 წლიდან 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდი ახლად შექმნილ საქართველოს ტელევიზიას, რა პერიოდშიც ტელევიზიამ ფეხი აიდგა და იგი იქცა მაღალი ზნეობისა და სიკეთის დამკვიდრების, მანკიერებისა და სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. სისტემატურად გადაიცემოდა სატირულ-იუმორისტული და კრიტიკულ-პუბლიცისტური ციკლები. ქართულმა ტელევიზიამ შენი თაოსნობით დაამკვიდრა ეროვნული მუსტი, რომელიც ყველა ოჯახში უხვად იფრქვეოდა. შენ სახელთანაა დაკავშირებული პირველად ფერადი ტელევიზიის დანერგვა.

1976 წლიდან სათავეში ჩაუდექი რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სამინისტროს, სადაც დაუღალავი შრომა გასწიე რესპუბლიკის მშრომელების, პენსიონერების, ომის ვეტერანებისა და დამსახურებული ადამიანების სოციალური ინტერესების დასაცავად.

28 წლის განმავლობაში ემსახურე ქვეყანას, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მთელი პრინციპულობით მონაწილეობდი ქვეყნისთვის მეტად საჭირო საკითხების განხილვებში. საზოგადოებამ თითქმის გმირობის დონედ შეაფასა შენი კრიტიკული გამოსვლები და ბრძოლა „პერესტროიკის“ პერიოდში დაშვებულ შეცდომებზე.

შენ არაერთი მეცნიერული კვლევა-ძიება ჩაგიტარებია. შექმენი მრავალი საინტერესო ნაშრომი, ძირითადად იოსებ სტალინის თემაზე. პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდი ქვეყნის ვეტერანულ მოძრაობაში. იყავი საქართველოში ვეტერანული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გენერლების — ვლადიმერ ჯანჯღავასა და ირაკლი ჯორჯაძესთან ერთად. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდი ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის გამგეობას. შენი პირადი ინიციატივით საქართველოში პირველად იქნა მიღებული კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების“ შესახებ.

ბატონო კარლო, შენ უკვდავების სახელი დატოვე ამა სოფელში. მარად ეხსომები შენს მეგობრებსა და შენი სანუკვარი ოჯახის წევრებს. იყავი მშვიდად და განისვენე უფლის სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

თბილისის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობის წევრები:
ტიტიკო ლეფსაია, გურამ გვეტაძე, რევაზ ნაცარიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, გიორგი საგარაძე, მანანა არევაძე, ტარასი იჩქიტიძე, იოსებ ტუსაშვილი, დემურ მიქაძე, შუანგი შერმაზანაშვილი, შოთა ბუაძე, ბიძინა პარტოზია;

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელთა სახელით **სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი.**

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი

კრედიტის/სესხის **No.:** 3524-GEO

დავალების სახელწოდება: ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთი შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაციის ზედამხედველობა

კონტრაქტი/ **RFP No:** SRP/CS/QCBS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთი შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაციის ზედამხედველობა**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 51 თვე.

შერჩევა განხორციელდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, (რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers),

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილ უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137763 არაუგვიანეს 12 ოქტომბერი 2017 წელი.

GEORGIA

SECONDARY ROAD IMPROVEMENT PROJECT

Credit/Loan No.: 3524-GEO

Name of the Assignment: Supervision of Rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Secondary Road

Contract/ RFP No: SRP/CS/QCBS-01

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Secondary Road Improvement Project (SRIP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service: **Supervision of Rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Secondary Road.**

Approximate duration of the assignment: 51 months.

Selection will be done according to the Quality and Cost Based Selection method (QCBS) provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)

The Expressions of Interest will be submitted by means of the ADB web page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137763 not later than **October 12, 2017.**

გამოსათხოვარი

ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის 1957 წელს დამთავრებული XI² კლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი მოქალაქის, კეთილშობილებით და ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნების, საუკეთესო მეგობრის

რევაზ დვალის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეგობრების სახელით
ზურაბ მაჩაიძე

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ (ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი) კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ცნობილი, ღვაწლმოსილი ექიმი მამოლოგის

დავით ღოლობერიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თამაზ დათიაშვილის

მეუღლის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თურქი მოქალაქე ყალბ ფულს ასაღებდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა, ქალაქ ბათუმში, ფიზიკურ პირზე ყალბი ფულის — 3 000 აშშ დოლარის გასაღება მოახდინა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 30 ცალი 100-დოლარიანი ყალბი კუპიურა.

სოფელ შუხუთთან მომხდარ ავარიას მძღოლი ემსხვერპლა

ავარია ლანჩხუთში — სოფელ ზემო შუხუთთან მომხდარ შემთხვევას სატვირთო ავტომობილის მძღოლი ემსხვერპლა.

შემთხვევის დროს ავტომანქანაში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა.

სავარაუდოდ, ავარიის მიზეზი ავტომობილის საბურავისთვის ცეცხლის გაჩენა იყო.

კახეთის რეგიონში მევენახეების შემოსავლებმა 32 მლნ ლარს გადააჭარბა

რთველი-2017-ის პროცესში, კახეთის რეგიონის მევენახეების მიერ ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 32,2 მლნ ლარს მიაღწია.

14 სექტემბრის 10.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 29,7 ათასი ტონა ყურძენი. მთლიანი გადამუშავებული ყურძნიდან 12 ათასი ტონა რქაწითელი, 14,8 ათასი ტონა საფერავი, 1,2 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ყურძნის დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 4,2 ათას ტონას გადააჭარბა, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაშია. ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 157 ღვინის კომპანია, ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 79.

სულხან ღლონტი ისრაელის დელეგაციის წევრებს შეხვდა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში აჭარაში მყოფი ისრაელის დელეგაციის წევრები სტუმრობდნენ. ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი ფესტივალის დამაარსებელ ელისო ბოლქვაძესთან ერთად ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარის მოადგილე იეჰილ ხილიკ ბარსა და საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტ იციკ მოშეს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა ტურიზმის მიმართულებით ისრაელ-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს საერთაშორისო ფესტივალების მნიშვნელობა რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების კუთხით.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ისრაელში რეგიონის რეკლამირებას 2013 წლიდან ანხორციელებს, რაც პრესტურების, ინფოტურების ორგანიზებას, გარე რეკლამას და სხვა სარეკლამო აქტივობებს ითვალისწინებს.

◎ ინტერნეტიდან

გრეისი არაფერს დათმობს

ძარელის „იბერიას“ ყოფილი ფეხბურთელი გივი ხუროშვილი უფრო გახდება მარადონას საქმის გამგრძელებელი და სოფელ საჭამიასერში უფრო გადმოიტანენ „მარაკანას“ სტადიონს, ვიდრე დადგება დრო, როდესაც ბრაზილიელი ტურფები ერთმანეთის ქიშპობასა და მტრობას დაანებებენ თავს.

არახალი ამბავია, რომ იქაური მოდელები, მსახიობები და, ზოგადად ხელიხელსაგოგმანები შხვართები, თავგამეტებით იბრძვიან მშობლიური საფეხბურთო ნაკრების თილისმის ტიტულისა და წოდების მოსაპოვებლად და ამ ბრძოლაში უცნობილესი ასულებიც კოხტად ყელყელაობენ.

აი მაგალითად, მთელს მსოფლიოში ცნობილი, წარმატებული, გულმისავალი და სისხლის ამაჩქროლებელი მოდელი გრეისი კარვალიო როცა კი შანსი მიეცემა, ყველა ინტერვიუში მუშტმოღერებით იძახის, სწორედ მე მხვდა „პენტაკამპეონთა“ ავგაროზობის პატივი და ჟიზელ ბუნდჰენი ან ადრიანა ლიმა ვინ მიგდიანო. ასეთი ქალი რომ აშარი დედაკაცივით კრულვას ასტეხს, სხვა რას იზამს – ხომ წარმოგიდგენიათ...

როსტომ რაჭველიშვილი

შინაური... მელიები

რუსეთის კრასნოიარსკის ოლქის პარკში „როეს ღელეში“ კეთილი ხვადი მელა, მეტსახელად რალფი გაჩნდა.

ციტოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მრავალი წლის მანძილზე ადამიანის მიმართ კეთილგანწყობილი მელიების ჯიშის გამოყვანაზე მუშაობდნენ, რა მიზნითაც ყველაზე მშვიდ ინდივიდებს არჩევდნენ. შეჯვარების შედეგად მეცნიერებმა შეძლეს დაბადებით ლამის შინაური, ადამიანის ხელს მიჩვეულ ცხოველთა მიღება.

მეტიც, მელიებს იერიც კი შეეცვალათ: ზოგიერთ მათგანს დრუნჩი დაუმოკლდა, მონადირე ძაღლებივით დახვეული კუდი და ჩამოწეული ყურები აქვს.

აქ ნაცნობი კაცის ნახვა არ გინდა?!

ჰონკონგი – მრავალსართულიანი სახლების ქალაქია და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილი.

1104 კვადრატული კილომეტრის ფართობზე 7 მილიონი კაცი ცხოვრობს. შენობები აქ ერთმანეთთან ისე ახლოს დგანან, რომ ქვედა სართულებამდე მზე ვერასდროს აღწევს.

დედამიწაზე მჭიდროდ დასახლების რეკორდი 1990-იან წლებში დანგრეულ ჰონკონგურ ციხესიმაგრე კოულუნს ეკუთვნის, სადაც 2,6 ჰექტარის მიწის ნაკვეთზე 33 ათასი კაცი ბინადრობდა.

მაგალითისთვის შეიძლება იმის თქმა, რომ მოსახლეობის ისეთივე სიმკვრივე მოსკოვში რომ ყოფილიყო, რომელიც 2511 კვადრატულ კილომეტრზეა გაშენებული, მაშინ რუსეთის დედაქალაქში არა 12 მილიონი არამედ. 3,2 მილიარდი კაცი იცხოვრებდა!

ჩვენ, ღამურების ნათესავები...



თუ რა ფუნქციების შესრულება შეუძლია ადამიანის ხელს, ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია. ჩვენი ხელი, ანატომიურად, ქსოვილთა დახვეწილი ერთიანობაა: ცერა თითი ცხრა დამოუკიდებელი კუნთით კონტროლდება, მაჯა ძვლებისა და იოგების უაღრესად მოქნილი სტრუქტურაა, რომელშიც სისხლძარღვები და ნერვებია „ჩაწყობილი“. ნერვების განშტოებები თითოეული თითის წვერში ბოლოვდება, რის წყალობით ჩვენ უფაქიზესი მოძრაობაც შეგვიძლია და ძალის გამოყენებაც.

„ხელის მუშაობის მექანიზმი და მნიშვნელოვანი ფიზიკური მახასიათებლები – ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის დასტურია“, – წერდა 1833 წელს დიდი შოტლანდიელი ქირურგი, სერ ჩარლზ ბელი. რელიგიული თვალსაზრისით სერ ჩარლზის ეს ნათქვამი უტყუარ პოსტულატად ჟღერს, მაგრამ თუკი მას მეცნიერულად მივუდგებით, დავრწმუნდებით, რომ ადამიანის გარდა ხელები ცხოველთა სამყაროს მრავალ წარმომადგენელსაც აქვს. ვთქვათ, მაიმუნებს.

თავის ნაშრომში „სახეობათა წარმოშობა“ ჩარლზ დარვინი წერს: „რა შეიძლება იყოს იმაზე საინტერესო, რომ ადამიანის ხელი, რომელსაც საგნის დაჭერის ფუნქცია აქვს, თხრის ფუნქციით აღჭურვილი თხუნელას კიდურები, ცხენის ფეხი, დელფინის ფარფლი და ღამურის ფრთა – ყველა მათგანი ერთი სტრუქტურითაა აგებული?“ მისი დასკვნა ცალსახა იყო: ჩვენ ვენათესავებით ღამურებსაც და ყველა იმ ცხოველს, რომლებსაც ხელები აქვთ...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4587; ევრო - 2.9443;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2602;
100 რუბლი - 4.2641; თურქული ლირა - 0.7144;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4450;
1000 სომხური დრამი - 5.1437.

ამინდი 15 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+36
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge